საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყვეფა უკერისფბაზე უსამაგოესია.

ხუთშაბათი, 3 მაისი. 2018 წ. №90 (8491), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„შავის ბედის წინ“...

მიხეილ ჯიბუტი:

ივანიშვილის „დაბრუნება“- სინანულით თუ მახვილით?

1. ხალხი გრძნობს...

საქართველოში ისეთი სიტუაციაა, რომ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები მთლიანად საგარეო ფაქტორებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, **საგარეო მოვლენები ფარავს შიდას, როგორი აქტუალურიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი.**

ამ ბოლო დროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის რეფორმისტული წინადადებები, რომელიც ა.წ. 12 აპრილს გაჟღერდა, აგრეთვე, 1978 წლის 14 აპრილის ქართული ენის დაცვისთვის განვითარებული პროცესებიდან 40 წლისთავი, მთლიანად გადაფარა 2018 წლის 14 აპრილს აშშ, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ სირიის ტერიტორიის 100-ზე მეტი ფრთოსანი რაკეტით დაბომბვის ფაქტმა. საქართველოს აქ საფიქრალი აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახება სირიის მოვლენები რუსეთის ქცევებზე და მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში.

2018 წლის 23 აპრილს სერჟ სარგსიანი გადადგა სომხეთის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან მისი სომხეთის პარლამენტის – ეროვნული კრების მიერ 17 აპრილს ამ პოსტზე არჩევის წინააღმდეგ დაწყებული სახალხო მღელვარების გამო. 23 აპრილს მან დატოვა მმართველი „სომხეთის რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარის პოსტიც. ამ ფაქტმა გადაფარა არა მარტო ის, რომ სერჟ სარგსიანს 17 აპრილს მიულოცა არჩევა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა –„ვულოცავ ჩემს ძვირფას მეგობარს სერჟ სარგსიანს სომხეთის პრემიერ-მინისტრად არჩევას“ – დაწერა მან ტვიტერზე. სერჟ სარგსიანის გადადგომამ გადაფარა აგრეთვე კახი კალაძის მიერ თბილისის ეკონომიკის ახალი კლასიფიკაციის ინიციატივა, მისი „დღის“ და „ღამის“ ეკონომიკებად დაყოფის თაობაზე 2018 წლის 20 აპრილს.

იხ. 4-5 გვ.

როცა ბედაურები იხოცებიან...

7

ორი ვიზიტის თვალსაწიერი

9

სიყვარულით გადავსებული გული

ახალგორში აღგილობრივი ქართველებით უშიშროება დაინტერესდა



8

ზუგდიდის ოქროს ბირჟა გაძარცვეს!

ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, მდებარე ოქროს ბირჟა გუშინ დააყაჩაღეს. თვითმხილველების ცნობით, ახალგაზრდა კაცი შენობაში შევიდა, მოვაჭრეებს დაემუქრა და დახლებზე განთავსებული ოქროს ნაკეთობები და სხვა ძვირფასეულობა გაიტაცა. გაქცეულს მოვაჭრეებთან ერთად სამართალდამცველებიც გაეკიდნენ, თუმცა მისი დაკავება ვერ მოხერხდა. შემთხვევის ადგილზე პოლიცია მუშაობს. გამოძიება 178 მუხლით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

სასწრაფოდ, სანამ ახალი კონსტიტუცია შევიდა ძალაში, „საარჩევნო კანონი“ შეცვალეთ არა 2024 წელს, არამედ დღესვე!

– ჩემი დღევანდელი გამოსვლა მეხუთე გამოსვლაა პარლამენტში, რომელიც ბუნებრივად, ბოლო წლებში ჩვენი ერთად მოღვაწეობის შეჯამებაა. ბუნებრივია, ეს პროცესი ვერ იქნება სრული, თუ ჩვენ არ შევეხებით 2012 წელს და იმ ცვლილებას, რომელიც მაშინ მოხდა.

დღეს საქართველოს პარლამენტში არ არის ბევრი ის ადამიანი, რომელიც ამ პროცესის შემოქმედი იყო, მაგრამ მთელ ქართველ საზოგადოებას ახსოვს ის მიღწევა, რომელიც მაშინ შედგა, იმიტომ რომ ეს იყო საქართველოსთვის წინგადადგმული ნაბიჯი.

ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა გახდა ის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა თვისობრივად წინ წასწია. მე მახსენდება 2013 წელიც, როდესაც ჩვენ ერთად ვმოღვაწეობდით საქართველოს მთავრობაში და ის სულისკვეთება, რაც მაშინ იყო, იმიტომ, რომ მაშინ განხორციელებული რეფორმები, ის, რაც გააკეთა დავით სერგეენკომ, დავით კირვალიძემ, ის, რაც გავაკეთე მე განათლების სისტემაში და შემიძლია ვთქვა, რომ მას მერე განათლების სისტემაში არც არაფერი გაკეთებულა, იყო ორიენტირებული საქართველოს რიგით მოქალაქეზე, იყო ორიენტირებული იმაზე, რომ შეცვლილიყო რიგითი ქართველის ყოფა.

ასე მოხდა ჯანდაცვაში, ასე მოხდა სოფლის მეურნეობაში და ამ სულისკვეთებით მე დავთანხმდი ვყოფილიყავი „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, რადგან ეს მუშაობა და მოღვაწეობა გაგრძელებულიყო, იმიტომ რომ მართლაც აღმაფრთოვანებელი იყო, როცა ჩვენი ყოველდღიური მუშაობით ვცვლიდით რიგითი ქართველის ცხოვრების პირობებს.

დღეს ჩვენ შევეცდებით შევაჯამოთ ის, რაც მერე განვვლეთ.

პირველი, მინდა, დავიწყო ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსით და არსებული ვითარებით. ევროპული ინტეგრაცია შთამბეჭდავ შედეგებს გვაჩვენებს, ეს არის ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი და ეს არის, სულ ბოლოს მიღწეული უმაღლესი დონის დიალოგი.

ჩვენ ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, სულ მალე, 26 მაისს დავინახავთ, თუ რა ძლიერი მხარდაჭერა აქვს საქართველოს დასავლეთისგან.

იხ. 2-3 გვ.

სასწრაფოდ, სანამ ახალი კონსტიტუცია შევიდა ძალაში, „საარჩევნო კანონი“ შეცვალეთ არა 2024 წელს, არამედ დღესვე!

(პირველი გვერდიდან) ნატოსთან მიმართებით ჩვენ ვიყავით მანამდეც ასპირანტი ქვეყანა და დავრჩით ასპირანტ ქვეყნად, მაგრამ დრამატულად გაიზარდა ნატოს წვრთნები საქართველში, გვაქვს არსებითი პაკეტი, გაზრდილია თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ის რეფორმები, რომლებიც თავდაცვის მიმართულებით ხორციელდება საქართველოში აძლიერებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

აქვე მინდა, ერთი მხრივ, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ჯარისკაცს, რომელიც საქართველოს დროშას ასე ამაყად მაღლა სწევს, ყველა იმ ოჯახს, რომელმაც განიცადა ტკივილი ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვით და ხაზი გავუსვა იმას, რომ სწორი იქნება თავდაცვის სფეროში დაწყებული რეფორმების მასშტაბის გაზრდა და შესაბამისად, დაფინანსების გაზრდა, რაც ნამდვილად გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

თავდაცვის სფეროში მიმდინარეობს ეფექტური თანამშრომლობა, მათ შორის, შეერთებულ შტატებთან და არის ძალიან საინტერესო სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია.

იწყება მოლაპარაკებები და შეიძლება სერიოზულად გაღრმავდეს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, მინდა აღვნიშნო, რომ ინვესტორების და მათი ინტერესების დაცვა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეს მოლაპარაკებებიც წარმატებულად გაგრძელდეს და მეტი ინვესტორი შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში.

საერთოდ, თავისუფალ ვაჭრობას თუ შევხედავთ, ჩვენ აქ შთამბეჭდავი შედეგი გვაქვს. რეალურად, ვიწყებდით მაშინ, როგორც ქვეყანა, რომელსაც დაახლოებით, 200-მილიონიან ბაზართან ჰქონდა თავისუფალი ვაჭრობა და დღეს საქართველოს 2-მილიარდიან ბაზარზე შეუძლია თავისუფალი ვაჭრობით გაიტანოს თავის პროდუქცია. ეს პოზიტიურია და წინაპირობაა ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღების და გამოსწორების, იმიტომ რომ იმ სტრატეგიულ ფუნქციასთან ერთად, რომელიც საქართველოს განსაზღვრული ჰქონდა, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას, თავისუფალი ვაჭრობა კიდევ უფრო ზრდის და აუმჯობესებს ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკის გაძლიერების პერსპექტივებს.

თუმცა, როდესაც ვახასიათებთ საგარეოპოლიტიკურ ვითარებას - ბუნებრივია, მთავარ ფაქტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება - რუსეთის ფედერაციას. ამ მიმართულებით, არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ჩვენს დიპლომატიას ნამდვილად წარმატებულია.

არაღიარების პოლიტიკა რუსეთს ფაქტობრივად ჩაუვარდა და მსოფლიო თანამეგობრობამ ნათლად შეაქცია ზურგი იმ უსამართლობას, რომლის გატანასა და, ასე ვთქვათ, გაყიდვასაც რუსეთი ცდილობდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების მცდელობით.

ჩვენ გვაქვს პოზიტიური დინამიკა, აგრეთვე გაეროში ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების შესახებ რეზოლუციასთან მიმართებაში. მთლიანობაში, მსურს, ვთქვა, რომ ის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრული იყო და არის რუსეთის მიმართ და, რომელიც მდგომარეობს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკაში, სწორი და ადეკვატურია, იმიტომ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზანია, არ წამოვეგოთ პროვოკაციას და რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც ამ ეტაპზე საკუთარი განვითარების აგრესიულ ფაზაში იმყოფება, არ მივცეთ შესაძლებლობა, ასე ვთქვათ, გამოაჩინოს ძალა ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში. ეს კიდევ უფრო აქტუალურია იმ ახალ ფაზაში, რომელშიც ფაქტობრივად მთელი მსოფლიო შედის რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

2018 წელი, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან იყო განსაზღვრული, როგორც ცივი ომის იმიტაციის, ცივი ომის შექმნის მცდელობა. ცივი ომის სპეციფიკა და პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ცივი ომის დროს მესამე ქვეყნებში, რომლებიც დაცულნი არ არიან ბოლომდე, და საქართველო ჯერ კიდევ არ არის ნატოს წევრი, ამ ქვეყნებში, ასე ვთქვათ, იარაღის ჟღარუნის პოლიტიკა განახორციელოს.

ამიტომ ჩვენ დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ამ მიმართულებით ფხიზლად ყოფნა და მე მიმაჩნია, რომ სწორია სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა. მაგრამ აი, ამ, ახალ ფაზაში ჩემი აზრით, კიდევ უფრო ძლიერი უნდა იყოს მოტივაცია- პოლიტიკური კუთვნილების გარეშე, ჩვენი, ყველას გაერთიანებისა იმ ღირებულებების ირგვლივ, რასაც ჩვენი სამშობლოს მთლიანობის, ერთიანობის დაცვა ჰქვია.

ამ ფონზე ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია ის პოლიტიკა, რომელიც ხორციელდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში.

რუსეთთან ამ ვითარებაში მყოფი ქვეყანა აუქმებს პოლიტიკურ ორგანოს, სადაც უნდა მიმდინარეობდეს მსჯელობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თაობაზე. აუქმებს უშიშროების საბჭოს, ყველა პოლიტიკურ კონტექსტს, რომ თავი დავანებოთ, თვითგადარჩენის ინსტინქტის ტოლფასია, რომ ჩვენ ასეთი ინსტიტუტები არ გავაუქმოთ და ამ თემებზე მაინც ვიყოთ გაერთიანებული და გვქონდეს ნათელი ხედვა, რომ ჩვენი სამშობლოს დასაცავად ყველანი ერთიანი ვართ.

გაგახსენებთ, სულ ახლახან დაყენებულ რამდენიმე ინიციატივას: ეს არის შეერთებულ შტატებთან საგანგებო წარმომადგენლის ინიციატივა; ეს არის საქართველოს მხარდამჭერი აქტის ინიცირება, რომელიც ჩემი მხრიდან მოდიოდა. ეს ის საკითხებია, რომლებშიც უკრაინელები ჩვენზე წინ არიან რუსეთთან მიმართებაში და თავის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

რატომ უნდა ხდებოდეს ასეთი ინიციატივებისთვის ზურგის შექცევა და იგნორირება? საერთოდ პოლიტიკა იგნორირების და ინსტიტუტების შესუსტების, ჩემი აზრით, კონკრეტულ პოლიტიკოსებს კი არ ასუსტებს, ასუსტებს ქვეყანას.

ის პროცესები, რასთან მიმართებაშიც მე არაერთხელ მქონდა ამ პარლამენტში გამოსვლაც და ინიცირებაც, იყო მიმართული იქითკენ, რომ დაგვეცვა სახელმწიფო ინსტიტუტები, ეროვნული ბანკი, სასამართლო, პრეზიდენტის ინსტიტუტი.

რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ინსტიტუტების შესუსტებას ქვეყნისთვის? ამ თვალსაზრისით, თუ გადავავლებთ თვალს, რა გაკეთდა 2017 წელს კონსტიტუციის ცვლილებაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ძირითადმა ინიციატივებმა სწორედ რომ შეასუსტა ქვეყნის დემოკრატიაც და ინსტიტუტებიც.

შევხედოთ თვითმმართველობის მიმართულებით არსებულ ვითარებას – შევასუსტეთ თვითმმართველობა, მივიღეთ ნაკლები თვითმმართველი ქალაქები.

პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში – გავაუქმეთ არჩევნები, რაც მოსახლეობის ნების საწინააღმდეგო იყო და რაც მთავარია, ათწლეულობით დაპირებული რეფორმა საპარლამენტო არჩევნებისა – გადავდეთ 2024 წლისთვის.

პოლიტიკური ინსტიტუტების შესუსტება, პოლიტიკოსების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში შეიძლება იმ მომენტში რომელიმე პოლიტიკოსს ასუსტებდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ქვეყნის ინსტიტუციურ მართვას ასუსტებს.

ამ თვალსაზრისით, როდესაც ვუყურებ რა მოხდა 2016 წელს, მე ვხედავ, რომ 2016 წლის არჩევნები იყო პოლიტიკური კლასის მიზანმიმართული გაქრობა. პოლიტიკური პარტიების მიზანმიმართული შესუსტება, როგორც მთავარი მოთამაშეებისა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში.

ამ პერიოდის განმავლობაში, არ გადაიდგა ნაბიჯები იმისთვის, რომ გაძლიერებულიყო პოლიტიკური ოპოზიცია, იმისთვის რომ შექმნილიყო წინაპირობა ძლიერი ოპოზიციისთვის, არც ერთი კანონმდებლობა არ შეიქმნა ამ მიმართულებით. და საერთოდ, როდესაც მახსენდება 2015 წელს წამების კადრების საჯარო ჩვენება, მე შემიძლია ვთქვა, რომ ევროპული პოლიტიკური კულტურიდან და კლასიდან ნამდვილად გვაშორებს ასეთი ნაბიჯები.

თუმცა, ამავე დროს, ამ წლების განმავლობაში ნამდვილად შეიცვალა სახელმწიფოს სახე და ის აღარ არის აგრესიული. მოქალაქეს აღარ ეშინია სახელმწიფოსი, განსხვავებით, წინა წლებისგან. ეს ნიშნული თავიდანვე, 2012 წელს დაიდო ხელისუფლების ცვლილების დროს და ეს ნიშნული შენარჩუნებულია.

პოზიტიური ცვლილებები ხდება, როგორც პენიტენციალური სისტემის თვალსაზრისით, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით. მაგრამ, ეს ცვლილება უნდა გატარებულიყო ბევრად უფრო ღრმად.

სამართალდამცავი სისტემა უნდა დაცლილიყო იმ პიროვნებებისაგან, რომლებიც ასოცირებულები არიან (და ამაზე კითხვის ნიშანი არ იბადება) იმ ძალადობებთან, რომელიც მანადე ხდებოდა. ამიტომ მივესალმე მე თქვენს ინიციატივას „გირგვლიანის შესწორებების“ შესახებ, რომ სწორედ დევნა კი არა, დაცლა მომხდარიყო, რომ აღარასდროს განმეორებულიყო ის, რამაც მაშინ, 2012 წელს, მთელი საქართველო გაგვაერთიანა ძალადობის წინააღმდეგ. ეს არ გაკეთდა.

აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ არ ვცვლით იმ ინდივიდებს პროკურატურაში და სხვა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებში, რომელთა ხელითაც ხდებოდა ძალადობა, რანაირად უნდა გვქონდეს იმედი, რომ გამოძიებულ იქნება და საზოგადოებისთვის სამართლიანად იქნება მიწოდებული პრეზიდენტ გამსახურდიას საქმე, ზურაბ ჟვანიას საქმე, რაფალიანცის საქმე, მუხთარლის საქმე.

აქვე ბუნებრივია, არ შემიძლია, ზუსტად იგივე კონტექსტში, იგივე ემოციით, არ შევეხო სასამართლო სისტემას.

მართლაც ძალიან რთულია სასამართლო სისტემის რეფორმა და ამას ერთ დღეში ვერ გააკეთებ და სწორიც იქნებოდა, რომ არ გვქონოდა იმის ამბიცია, რომ ეს ერთ დღეში მოხდება, მაგრამ სასამართლო სისტემის ცვლილებისათვის საფუძვლის ჩაყრა ჩვენი საერთო ვალდებულება იყო.

ჩვენ რა ვუქენით ამ ვალდებულებას ბოლო დანიშვნებით და იმ პროცესით, რომელიც წარვმართეთ? – უვადოდ გადავდეთ ეს პროცესი.

2012 წელს ჩვენ გვახსოვს, როდესაც ოპოზიციაში ვიყავით, რა პირობებში გვიწევდა საარჩევნო კამპანია და რა მედიაგარემო იყო. ნამდვილად, 2012 წლის შემდეგ მედიაგარემო გათავისუფლდა და მედიის შტურმები აღარ ხორციელდება. თუმცა, რაღაც ტიპის არაძალადობრივი, მაგრამ სირთულეების შექმნა მედიის მიმართ მაინც ხდება და ჰკითხეთ ნებისმიერი მედიის წარმომადგენელს – ისინი სტრესის რეჟიმში მუშაობენ, მუდმივი მოლოდინის რეჟიმში, რომ რაღაც სირთულეები იქნება მათ წინაშე.

ბიზნესის მიმართულებითაც ჩვენ შევძელით და ის წნეხი, რომელიც იყო ბიზნესზე, ნამდვილად აღარ ხორციელდება და ბიზნესი თავისუფალია. ეს ნამდვილად პოზიტიური და წინგადადგმული ნაბიჯია.

მე ასევე მივესალმები პრემიერის ინიციატივებს საგადასახადო მიმართულებით და ესეც გვაჩვენებს, რომ გადადგმულია პოზიტიური ნაბიჯი. მივესალმები სტარტაპებისა და ინოვაციების ხელშეწყობას, თუმცა, 2020-ის მიზანი სოციალური თანასწორობის მიმართულებით, სამწუხაროდ, ვერ იქნა მიღწეული და შეიძლება ითქვას, რომ მაღალია ეკონომიკური უთანასწორობა ჩვენს საზოგადოებაში – ეს ფაქტია! და ამ უთანასწორობის ფონზე, რა თქმა უნდა, სერიოზული დარტყმა იყო ჩვენი მოსახლეობისათვის ის პროცესები, რაც მიმდინარეობდა საბანკო სესხებთან მიმართებაში.

თუმცა, აქვე მინდა, მადლობა ვუთხრა ეროვნულ ბანკს, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ ამ მიმართულებით სტაბილური და განჭვრეტადი იყოს ვითარება.

მცირე და საშუალო ბიზნესი ჯერ კიდევ ძალიან მცირე მოცულობისაა ჩვენს ქვეყანაში და ჯერ კიდევ დიდი ბიზნესის ჩრდილშია. მაგრამ მთავარი შემკვრელი ამ პრობლემატიკის არის დასაქმება. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ეს პრობლემა ფაქტიურად მოსახლეობის უმრავლესობის წინაშე დგას.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რა თქმა უნდა, 2012 წლის მერე ბევრი რამე იქნა მიღწეული. 6 წლის თავზე ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, სახელწიფო აღარ არის მოძალადე; ამ 6 წლის განმავლობაში ჩვენ, სამწუხაროდ, შევასუსტეთ ინსტიტუტები და ვერ შევქმენით უფრო დემოკრატული სახელმწიფო სისტემა, რომელიც უფრო სწრაფად მიებმებოდა ხალხს და საზოგადოებას.

ამ პერიოდში ჩვენ შევედით იმ რეალობაში, რომელშიც, ვინც პოლიტიკაში ყოფილხართ გახსოვთ, შედიოდნენ სხვა პოლიტიკური პარტიებიც, „მოქალაქეთა კავშირი“ იქნებოდა ეს, თუ „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც ხელისუფლების იმ ხელა კონცენტრაცია ხდება, რომელიც საშიში ხდება დემოკრატიისათვის, საშიში ხდება მმართველი პარტიისათვის.

ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ კიდევ ერთხელ შევიდეთ დრამატული ცვლილებების ეპოქაში. დემოკრატია და ხელისუფლების გადანაწილება არის პასუხი მთელ იმ პრობლემებზე, რაზეც მე თქვენ მოგახსენებდით.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ისტორიის მაგალითები და დღეს უნდა მივცეთ ხალხს დემოკრატიული პროცესი და ეს უნდა ხორციელდებოდეს როგორც თვითმმართველობის დონეზე, ასევე სხვა დონეებზე.

ამიტომ ჩემი ყველაზე დიდი მოწოდება და რჩევა ამ პარლამენტისთვის არის სასწრაფოდ, სანამ ახალი კონსტიტუცია შევიდა ძალაში, შევცალოთ „საარჩევნო კანონი“ არა 2024 წელს, არამედ დღესვე. ვიფიქროთ ამ კანონის ცვლილებაზე და ხელისუფლების გადანაწილებაზე, რომელიც იქნება სერიოზული წინაპირობა ქვეყნის და მმართველი პარტიის სტაბილურობისთვის.

დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, მზად ვარ თქვენთან სასაუბროდ იმ ემოციით, რომ ყველანი ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და ჩვენ ძალიან უნდა გვადარდებდეს ქვეყნის მომავალი და სტაბილურობა.

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

მქონდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტის ბოლო გამოსვლა ამ რანგში იქნებოდა გაცილებით უფრო ღრმა...

მე პირადად მქონდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტის ბოლო გამოსვლა ამ რანგში იქნებოდა გაცილებით უფრო ღრმა, მეტი ანალიზით, უფრო კონცენტრირებული, იქნებოდა პრობლემების მეტი ანალიზი და ასევე საუბარი შეეხებოდა მათი მოგვარების გზებს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს პრეზიდენტის გამოსვლის შეფასებისას განუცხადა. მისი თქმით, მან ისაუბრა ინსტიტუციებისადმი უპატივცემულობასა და ინსტიტუტების დაკნინებაზე, როდესაც თვითონ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.

„ვფიქრობ, პრეზიდენტს გაცილებით ფართოდ უნდა მიმოეხილა ის პრობლემატიკა, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში არის და პრეზიდენტის ინსტიტუტის უფრო მეტი გამაერთიანებლის ფუნქცია უნდა გამოეჩინა. მართალი გითხრათ, გაცილებით უფრო მეტს ველოდებოდი ამ გამოსვლისგან“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

9 ათასი პატიმრიდან თქვენ 3600-ზე მეტი შეიწყალეთ!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტის გამოსვლა გააკრიტიკა და ხაზგასმით განაცხადა, რომ ბევრი ადამიანი ვერ მიხვდა, რაზე იყო გაკეთებული ძირითადი მიმართულებები. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სატელევიზიო ინტერვიუდან გაიგეს, რომ აქცენტები გაკეთდა სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე.

– თქვენ პასუხები გაქვთ გასაცემი მრავალ კითხვაზე, მაგალითად შეწყალებებთან დაკავშირებით. რატომ ხდება, რომ კონვეიერული სისტემით, ყოველგვარი რეალური ანალიზის გარეშე ხდება პირთა შეწყალებები, რომელთაგანაც დაახლოებით 70-80%-ზე მეტი მსჯავრდებული იყო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ბრალდებული. 9 და 10 ათასი პატიმრიდან თქვენ 3600-ზე მეტი შეიწყალეთ.

თქვენ შეიწყალეთ ადამიანი, რომლის საქმის განხილვა დასრულებული არ იყო სამივე ინსტანციის სასამართლოში, შეიწყალეთ ოჯახის წევრი, მოახდევინეთ მხოლოდ სამი წელი და ეს მოხდა შესაბამის კომისიის გვერდის ავლით.

თქვენს მიერ უკანასკნელ წლებში შეწყალებულია 55 მსხვილმა ნარკორეალიზატორი, თქვენს მიერ შეწყალებულმა 575-მა მსჯავრდებულმა ხელმეორედ ჩაიდინა 672 დანაშაული, რომელთაგან 189 მძიმე და განსაკუთრებით მძიმე იყო, აქედან 40 ძალადობის და ოჯახური ძალადობის შემთხვევა. თქვენ 21 ისეთი დამნაშავე შეიწყალეთ, რომელთაგან ყველა მათგან უარყოფითი დახასიათება ჰქონდათ “ – განაცხადა მდინარაძემ.

პუტინი, როგორც ადამიანი არის უძლიერესი!

„პუტინი არის რუსეთის ფედერაციის **პრეზიდენტი და ეს უნდა გახსოვდეს... კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ვლადიმერ პუტინი ადამიანი არის უძლიერესი** – ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა და ევროპული საქართველოს წევრს გიგა ბოკერიას შეახსენა, რომ რუსეთი არის ანგარიშგასაწევი ქვეყანა. **„ძალიან გთხოვთ ბატონო ბოკერია, ნუ ნერგავთ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, ანტირუსულ განწყობას. კი ბატონო, პუტინი გძულდეთ, რა ჩემი საქმეა, გინდ გძულდეთ გინდ არა, და საერთოდ პოლიტიკაში სიძულვილი, სიყვარული არ ვიცი მე. ბატონო ბოკერია თქვენ სად გასწავლეს ეგ ამბავი?. პოლიტიკაში მე ვიცი ინტერესები. მე ვიცი პირველ რიგში ბატონო ბოკერია, რომ პუტინი არის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეს უნდა გახსოვდეთ თქვენ ყოველ წუთს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს პუტინი არის უძლიერესი, რუსეთი ძალიან რთული და მძიმე, ანგარიშგასაწევი ქვეყანაა“** – განაცხადა ადა მარშანიამ.

პრეზიდენტის ინსტიტუტს წუწუნი არ უხდება!

პრეზიდენტის ინსტიტუტს წუწუნი არ უხდება, მეტი შემართება ევალება – ამ განცხადებით პრეზიდენტს დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა. ზურაბიშვილმა გიორგი მარგველაშვილი გააკრიტიკა და თქვა, რომ პრეზიდენტმა საზღვარგარეთ მყოფი ქართველები დაივიწყა.

მისივე თქმით, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პრეზიდენტს გამორჩა, არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი.

ზურაბიშვილი ასევე ამბობს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი რაც არ უნდა შეცვლილი, შემცირებული უფლებებით იყოს ახლად მიღებულ კონსტიტუციაში, რჩება იმ ინსტიტუტად, რომელშიც აისახება ერთიანობა, სოლიდარობა, სუვერენობა.

ჩამოყალიბდით როგორც ოპოზიციონერი პრეზიდენტი!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი დიმიტრი ხუნდაძე პარლამენტის ტრიბუნიდან პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშს აფასებს და მას ოპოზიციონერ პრეზიდენტს უწოდებს.

„ძალიან ყურადღებით ვუსმენდი თქვენს გამოსვლას, თუმცა საყურადღებო ვერაფერი ვნახე და ობიექტურობა მაიძულებს იმას, რომ გითხრათ, ეს იყოს ყველაზე სუსტი გამოსვლა თქვენი გამოსვლებიდან. ჩემთვის საყურადღებო მხოლოდ ერთი იყო, დასაწყისი. თქვენ თქვით, რომ დღეს ბევრი არი არის 2012 წლის შემოქმედი პარლამენტში. მე ვარ 2012 წლის შემოქმედებიდან, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად. მაგრამ თქვენ არ ხართ იქ, სადაც უდნა იყოთ. ჩვენ აქ ვართ უმრავლესობაც, ძველებიც, ახლებიც და აქ არის ყველაზე ძველიც. სწორედ „ქართული ოცნების“ ერთობამ გაგხადათ პრეზიდენტი, რომელ ერთობასაც პირველივე თანამდებობრივ გზაგასაყართან აუქციეთ გვერდი. თქვენ არჩიეთ მიხელ სააკაშვილის სასახლეში შესვლა. ჩამოყალიბდით როგორც ოპოზიციონერი პრეზიდენტი“ – განაცხადა ხუნდაძემ. მან ასევე პრეზიდენტს რამდენიმე კითხვით მიმართა.

„ბატონო პრეზიდენტო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე პოზიტიური საუბარი ზრდის ინტერესს ახალგაზრდებში ნარკოტიკების მიმართ? ასევე, ქვეყანა დგას გარდაუვალი დემოგრაფიული კრიზისის წინაშე, ამაზე საუბრობს ყველა, მაგრამ თქვენ ამაზე არასდროს დაგიფიქსირებიათ პოზიცია. მე მაქვს კითხვა, თვლით თუ არა, რომ ეს იყო თქვენი შეცდომა, რომ ამაზე ყურადღება არ გაამახვილეთ და მესამე, ურთიერთობის სფეროდან კითხვა. დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, სხვანაირად ხომ არ დაგეგმავდით თქვენ საპრეზიდენტო კარიერას?“ – განაცხადა ხუნდაძემ .

საქართველოს პრეზიდენტმა პროტესტის ნიშნად პარლამენტის სხდომა დატოვა

საქართველოს პრეზიდენტმა პროტესტის ნიშნად პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვა. სხდომის დატოვებას წინ უძღოდა კამათი პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის. გიორგი მარგველაშვილი დებატებში ჩართვას ითხოვდა. **„სხდომას, რომელიც არ მაძლევს შესაძლებლობას, შევიდე დისკუსიაში დეპუტატებთან, არ დავესწრები“,** – განაცხადა პრეზიდენტმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს განუმარტა, რომ რეგლამენტი ამას არ ითვალისწინებდა და პროცედურის მიხედვით მას პასუხის გაცემის საშუალება დეპუტატთა გამოსვლების დასრულების შემდეგ ექნებოდა. პარლამენტმა პრეზიდენტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და დებატების ფორმატი არ შეიცვალა. მიუხედავად განმარტებისა, გიორგი მარგველაშვილმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

საპარლამენტო უმცირესობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მარგველაშვილს მიბაძა!..

პარლამენტში მიმდინარე დებატები საპარლამენტო უმცირესობამაც დატოვა. როგორც „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, **უმრავლესობის გადაწყვეტილების ფონზე, რომელმაც მხარი არ დაუჭირა იმ ფორმატს, რომელიც საშუალებას მისცემდა, პრეზიდენტი დაბრუნებულიყო დარბაზში, საპარლამენტო უმცირესობასაც მიზანშეუწონლად ეჩვენება დებატებში მონაწილეობის გაგრძელება.**

გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველო **და ისრაელი თავდაცვის სფეროში ურთიერთობების გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროს, განსაკუთრებით კი სამხედრო განათლების, რეზერვისა და სამობილიზაციო სისტემის მიმართულებებს ითვალისწინებს. სწორედ, ამ მიზნით, ლევან იზორიას თელ-ავივში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და ისრაელის თავდაცვის მინისტრებმა ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს.**

ქართველ კოლეგას ისრაელის თავდაცვის მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი მასპინძლობს. დახვედრის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ დელეგაციებს შორის შეხვედრა გაიმართა. ლევან იზორიამ მასპინძელ მხარეს საქართველოს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული რეფორმები გააცნო. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ქართული მხარე ისრაელისგან რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის, ასევე საშუალო განათლების დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მეთოდების შესახებ გამოცდილებას გაიზიარებს. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების შესწავლის ინსტიტუტშიც იმყოფებოდა.

მიხეილ ჯიბუტი: ივანიშვილის „დაბრუნება“- სინანულით თუ მახვილით?

(პირველი გვერდიდან) ვერც საგარეო და ვერც საშინაო მოვლენებმა ვერ გადაფარეს ერთი მთავარი მოვლენა – ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ თანამდებობაზე დაბრუნების გადაწყვეტილების შესახებ!

ეს ამბავი ვერ გადაფარა ვერც 26 აპრილს ავტოფარეხების დანგრევა-ჩუქება-ჩამორთმევის **კახი კალაძის** მოუმზადებელმა განცხადებამ და მასთან დაკავშირებულმა ინტერესებმა და ვერც ამ ამბის შემდეგ კორეაში განვითარებულმა პროცესებმა, როდესაც 2018 წლის 27 აპრილს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის კორეის ომის დამთავრებიდან 65 წლის შემდეგ შედგა შეხვედრა, სადაც ფხენიანისა და სეულის ლიდერების – **კიმ ჩენ ინისა** და **მუნ ჩჟე ინის** მიერ ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელიც ქმნის საფუძველს კორეის ნახევარკუნძულის დენუკლიზაციისა და უახლოეს მომავალში ამ ორი სახელმწიფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისთვის.

ამ ფაქტის მნიშვნელობა რელიეფურად გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს იმ გეოგრაფიულ ადგილას, სადაც რამდენიმე თვის წინათ ატომური იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა აშშ პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი**.

მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ უხსნის ხალხს, მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილი, თუ რამ გამოიწვია მისი ეს გადაწყვეტილება, ხალხი მაინც გრძნობს ამ ფაქტის მნიშვნელობის სიდიდეს.

ხალხი გრძნობს იმის დადებით მნიშვნელობას, რომ როგორც კი გაფორმდება ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეობა, ამით დასრულდება საქართველოში კიდევ ერთი მმართველობითი ექსპერიმენტი სოლოკრატიის არსებული ფორმით.

ხალხი გრძნობს იმის მნიშვნელობას, რომ გარდაუვალად მოხდება სოლოკრატიის ტრანსფორმაცია.

მაგრამ საით?

ეს ხალხმა არ იცის, ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი დაიძაბა და მოლოდინის რეჟიმში გადავიდა.

2. „დაბრუნების“ მიზეზი

ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში „დაბრუნებაში“ არაფერი სიახლე არაა – ის ხომ არც წასულა პოლიტიკიდანო.

ეს აზრი მცდარია. ბიძინა ივანიშვილის „დაბრუნება“ ეს არის თვისობრივად ახალი პოლიტიკური მოვლენა – მის მიერ არაფორმალურ მმართველობაზე, სოლოკრატიაზე უარის თქმა!

ეს ძალიან პოზიტიური მოვლენაა, რადგანაც ქვეყანაში ხდება ერთმანეთს დაშორებული ხელისუფლებისა და ძალაუფლების გაერთიანება, როდესაც ხელისუფლებას უბრუნდება ძალაუფლება და როდესაც მკვიდრდება ფორმალური მმართველობის დომინანტი არაფორმალურზე.

ეს რევოლუციური ცვლილებაა!

ამაშია უზარმაზარი შანსი ქვეყნისთვის! მთავარია, ამჟამად როგორ იქნება გამოყენებული ეს შესაძლებლობა.

ეს შანსი შექმნა **ბიძინა ივანიშვილმა** და მისი გამოყენებაც მასზეა დამოკიდებული.

არის ამ შანსის გამოყენება **ბიძინა ივანიშვილის** მიზანი თუ არა, გავიგებდით, რომ ყოფილიყო განსაზღვრული მისი „დაბრუნების“ მიზეზი.

სამწუხაროდ, ეს არაა ცნობილი.

ოფიციალური ვერსიით, პრემიერ-მინისტრისა და პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარის **გიორგი კვირიკაშვილის** თქმით, **„პირადად ჩემი და მთელი გუნდის სახელით, მე შევთავაზე და ვთხოვე პარტიის დამფუძნებელს, რომ სათავეში ჩაუდგეს პარტიას და მოხარული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თანხმობა განაცხადა“**.

ეს განაცხადა კვირიკაშვილმა 26 აპრილს ბრიფინგზე.

ყველაზე ცუდია, როდესაც ისე წავა ქვეყნის პირველი პირის საქმე, რომ სიმართლეს არ ამბობს და კიდევ უფრო ცუდია, როდესაც ქვეყნის პირველი პირი სისწორესაც ისე ვერ ამახინჯებს, რომ ერთმა კაცმა მაინც დაუჯეროს. ეს უკვე ქვეყნის პრობლემაა.

ეს თუ პიროვნული თვისებაა – პიროვნებაა შესაცვლელი და თუ სისტემური, მაშინ სისტემაც!

უეჭველია, რომ კვირიკაშვილს ბრიფინგამდე დებრიფინგი ჰქონდა.

„ბრიფინგის“ პირველადი მნიშვნელობა ინსტრუქტაჟი და მითითებაა. ბრიფინგს წინ უძღვის „დებრიფინგი“, სადაც ყველაფერს ყვებიან უფროსობასთან, პატრონებთან და იღებენ „ბრიფინგს“, ანუ ინსტრუქციას, თუ რა უნდა და რა არ უნდა თქვან.

ხომ არ არის ეს დაკავშირებული **ბიძინა ივანიშვილის** მიერ გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებასთან?

ბიძინა ივანიშვილი მართლა **კვირიკაშვილის** თხოვნით რომ არ დაბრუნებულა – ეჭვი ჩემს ირგვლივ მყოფთაგან და, ალბათ, საზოგადოებაშიც, არავის არ ეპარება.

...მთავარია, რომ ეს დაბრუნება მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა, თუ მართლა **„ივანიშვილი პოლიტიკაში ხანძრის ჩასაქრობად დააბრუნეს?“ (ზაალ ანჯაფარიძე)**:

ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს.

თუმცა როგორი პასუხიც

აქ იმის დადგენისგან, კვირიკაშვილმა თუ როგორ შეკრიბა „მთელი გუნდი“ და როგორ მოიპოვა მათგან დელეგირება, ყველას სახელით ელაპარაკა, თუ როგორ ამაყად უთხრა პარტიის დამფუძნებელს, რომ საქმეს თავს ვერ ვართმევ, მოდი მე პრემიერად დავრჩები, შენ კი პარტიის საქმეები „დაალაგეო“, თავი შესაკავებელია იმიტომ, რომ იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით, რასაც ყველა (ხალხი) ხვდება.

მაინც რაშია ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების მიზეზი?!

არასანდო ოფიციალურმა ინფორმაციამ მრავალი აზრი წარმოშვა ამ საკითხზე.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ახლახან გამოქვეყნებული **„ფრიდომ ჰაუსის“** (Freedom House) ანგარიში.

სხვათა აზრით, დაბრუნება **„დიდწილად შეიძლება უკავშირდებოდეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს“, ამასთან „ ბიძინა ივანიშვილს საკმაოდ მყარად მიეწება არაფორმალური მმართველის იარლიყი, რაც დასავლურ წრეებში საკმაოდ ნეგატიურ კონტექსტში აღიქმება. არაფორმალური მმართველობის ფაქტორი საქართველოში რამდენიმე, საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაციის ანგარიშებშიც მოხვდა და „ფრიდომ ჰაუსის“ გახმაურებული ანგარიში საქართველოზე ბოლო აკორდი იყო. ბიძინა ივანიშვილი კი საკმაოდ უფრთხილდება საკუთარ რეპუტაციას – ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო მასშტაბის ფინანსისტია, ამიტომ, მისთვის არ არის სულერთი, რას წერენ მასზე საერთაშორისო ორგანიზაციები – შესაძლოა, ესეც ყოფილიყო მოტივი, ერთგვარად, ფორმალიზება მოეხდინა მისი ყოფნისა პოლიტიკაში“ (ზაალ ანჯაფარიძე)**.

ყველას გაახსენდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2015 წელს პოლიტიკიდან ფორმალურად წასვლისას განაცხადა, რომ „დიდი უბედურება“ უნდა მოხდეს, რომ დავბრუნდეო და თვლიან, რომ დაბრუნება ქვეყანაში დიდ უბედურებასა და პოლიტიკურ კრიზისთანაა დაკავშირებული **(ირმა ინაშვილი)**.

გამოითქვა აზრი, რომ **„იმდენად ეჭვიანი კაცია ივანიშვილი, შეიძლება, სომხეთში მიმდინარე მოვლენებმა დააჩქარებინა მას ეს გადაწყვეტილება – ყველა ჩემს წინააღმდეგ არ გარიგდესო“ (დავით ბერძენიშვილი)**.

მიზეზთა ჩამონათვალის მწკრივი ძალიან გრძელია. როდესაც ოფიციალურად ის დასახელებული არაა, ყველა მათგანს აქვს არსებობის უფლება, სანამ ფაქტობრივად არ გამოჩნდება ნამდვილი მიზეზი.

არ უნდა იყოს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მმართველი პარტიის ხელმძღვანელად უაღრესად დადებითი მოვლენაა.

გარდა იმისა, რომ ეს კარგია, რამეთუ მთავრდება სოლოკრატიული მმართველობის სისტემა, ის კარგია იმიტომაც, რომ ქმნის ნორმალურ მოდელს პარტიის ხელმძღვანელობისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის გამიჯვნის სახით.

ჯერ ეს საქართველოში მმართველ პარტიას არ გაუკეთებია.

სულ რამდენიმე ფაქტია ასეთი საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ ისტორიაში და ორივე ოპოზიციურ პარტიასთანაა დაკავშირებული.

პირველი პრეცედენტი შექმნა **გია ჭანტურიამ**, რომელიც დარჩა პარტიის ლიდერად და არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრი არ გამხდარა და აღმასრულებელი ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავებაზეც უარი თქვა, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთავრობის დაკომპლექტებაში მონაწილეობდა. ამის შედეგიც იყო ის, რომ ამ დროს ედპ გახდა ყველაზე ეფექტიანი პარტია ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე.

დღეისათვის ასეთ პოლიტიკას ატარებდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე **დავით თარხან-მოურავი**. პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური შედეგებიც დინამიკურია და ორ – ყოფილ და დღევანდელ სამთავრობო პარტიების შემდეგ საუკეთესოა.

საქართველოს არცერთმა პირველმა პირმა არ მოახდინა პარტიული და სახელისუფლებო ფუნქციების გამიჯვნა. **ედუარდ შევარდნაძე** მაშინ გადადგა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობიდან, როდესაც ამ უკანასკნელის გაუქმება გადაწყვიტა. **მიხეილ სააკაშვილი** როგორც კი ჩამოშორდა ხელისულებას, მისი პარტია დაიშალა ნაწილებად. არც ერთმა პირველმა პირმა ხელი არ შეუწყო იდეოლოგიურად გამართული პარტიის ჩამოყალიბებას და ამიტომაც მმართველი პარტიებში ხდებოდა პოლიტიკური ავანტიურისტებისა და პოლიტიკური მევახშეების დიდი რაოდენობა, რომელიც აჩქარებდა გადაგვარების პროცესს. როდესაც მმართველი პარტია ასეთი სახითაა, მაშინ ოპოზიციური პარტიებიც მსგავსი და ე.წ. „ნარჩენობის პრინციპით“ მრავლდება. ვისაც არ წყალობს მმართველი პარტია, წყალობს ოპოზიცია. თუ მოხდება პარტიული მექანიზმით ხელისუფლების პარტიული კონტროლი და დამკვიდრდება ეს მექანიზმი, ასეთ შემთხვევაში შეიქმნება ჯანსაღი პოლიტიკური გარემო. ოპოზიციური პარტიებიც მოეწყობა იდეოლოგიის საფუძველზე და შეიქმნება პოლიტიკური ბაზარი, სადაც ადგილი ექნება კონკურენციას და მომხმარებელი (ამომრჩეველი) იყიდის (ხმას მისცემს) იმ პარტიას, რომლის იდეოლოგია და პროგრამა მისთვის მისაღებია.

ამდენად, რა მიზნითაც არ უნდა მოქმედებდეს ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილი, მმართველი პარტიის ლიდერობისა და ქვეყნის პირველი პირობის ერთი კაცის ხელში ყოფნის გაუქმება პოზიტიურია და ის ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრიობის მექანიზმის შექმნას, ვიდრე ივანიშვილი სხვანაირად არ გადაწყვეტს, თუ ეს მის მიზანში შედის!

როგორიც არ უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების გადაწყვეტილების ფორმა (პირადი თუ გარედან ზემოქმედებით), მთავარია მისი დაბრუნების განზრახვა – როგორ ბრუნდება იგი: **სინანულით თუ მახვილით?**

3. სინანულით თუ მახვილით?

ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრობის პოსტიდან 2013 წლის 24 ნოემბერს გადადგა.

2018 წლის 26 აპრილს, ანუ 4 წლისა და 4 თვის შემდეგ მან პოლიტიკური დე ფაქტო მდგომარეობის დე იურე მდგომარეობაში გადაყვანა გადაწყვიტა. რა არის ამის მიზეზი, მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობით გამოჩნდება, დღეს უნდა შევეცადოთ ამოვხსნათ, რა იყო ისეთი, რისი გაკეთებაც არაფორმალურ ლიდერს არ შეეძლო? პიროვნულ და საოჯახო დონეზე – არაფერი. ქვეყნის მასშტაბით – არაფერი. ერთადერთი საერთაშორისო მასშტაბია არაფორმალური მმართველისთვის მიუწვდომელი.

აქ რა შეიძლება იყოს?

რა საერთაშორისო ინტერესები საქართველოს მიმართ?

ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული მთლიანობის – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი, მათი პოლიტიკური მომავალი;

ესაა საქართველოს ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული, მიწა-წყალი, ტყე, მათი საკუთრება;

ესაა შავი ზღვა, სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი, მათი კონტროლი;

ესაა საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის „წილი“ მსოფლიო პოლიტიკაში – გაეროს წევრ სახელმწიფოთა შორის, მისი ორიენტაცია და ხმა.

2013 წელს გადადგომის შემდეგ, **თეა სიჭინავასთან „იმედის“** ეთერში **ბიძინა ივანიშვილმა,** პოლიტიკაში დაბრუნება დაუშვა, როგორც აღინიშნა, იმ შემთხვევაში, თუ რაღაც „უბედურება“ მოხდებოდა ქვეყანაში.

ჩვენ არ ვიცით, მაშინ რა ჰქონდა მხედველობაში ბიძინა ივანიშვილს. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ის იმ დონეზე არ უშვებდა პოლიტიკაში დაბრუნებას, რომ ამ გადაწყვეტილების შესაცვლელად წარმოუდგენელი უბედურება დაასახელა. ეს დასტურდება იქვე მისივე ნათქვამით: **„მეორედ მოსვლას ვადარებ მე ამას“.** იესო ქრისტეს დედამიწაზე მეორედ მოსვლის დროს იოანეს გამოცხადების მიხედვით აპოკალიფსია, კატაკლიზმებითა და სასწაულებით. „მეორედ მოსვლა“ პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის მნიშვნელობით გაიგება!

ამ გაგებით ასეთი მასშტაბის პროცესად შეიძლება, ვივარაუდოთ სირიაში, კორეაში, თურქეთში, რუსეთსა და დასავლეთს შორის მოვლენების განვითარების პერსპექტივა, რომლის შესახებაც ინფორმაცია აქვს **ბიძინა ივანიშვილს**. ამ ლოგიკის ჯაჭვში ჯდება როკის გვირაბთან დაკავშირებული გაუგებრობები რუსეთთან, **გიორგი კვირიკაშვილის** ცნობილი 9 მარტის წერილი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, ცხინვალში **არჩილ ტატუნაშვილის** მკვლელობის საქმე და მისი ოჯახისადმი მისამძიმრება **ბიძინა ივანიშვილის** მიერ წეროვნის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდის დროს 24 მარტს.

თუ ეს ასეა, მაშინ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება მახვილით დაბრუნებაა საქართველოს უმნიშვნელოვანესი მომავლის განმსაზღვრელი კვანძების გასაკვეთად. ეს საქართელოს სრულიად ახალი თავგადასავალია.

და თუ **ბიძინა ივანიშვილის** ეს გადაწყვეტილება მართლა პარტიის შიგნით სიტუაციის დალაგებაა (ღმერთმა ქნას, თუმცა მაშინ ეს სცენაა საპნის ოპერიდან!), საქართველოს შიგნით საკითხების მოგვარებაა, მაშინ ბედი ჰქონია ქვეყანას, რომ კიდევ ეძლევა შანსი სწრაფი განვითარებისათვის, არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის. ეს იმ შემთხვევაში, თუ **ბიძინა ივანიშვილი** თავის დაბრუნებისას სინანულში იქნება „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ქვეყნის მიერ გამოუყენებელი შესაძლებლობების გამო დაკარგული დროისთვის, ხელისუფლების ჩადენილი არასასახელო საქმეებისთვის...

ასეთ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს კიდევ ეძლევა შანსი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის, ამ საქმეში საშვილიშვილო დიდების მოპოვებისთვის. თუმცა, ეს შანსი ნაკლებია 2012 წლის შესაძლებლობებზე. მოსახლეობის მისდამი მხარდაჭერა მაშინ და დღეს სხვადასხვაა – მაშინ ბიძინა ივანიშვილს მხარს უჭერდნენ მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების შესაცვლელად. ფარულად ყველას ჰქონდა იმედი, რომ ბიძინა ივანიშვილის მილიარდებიდან რაღაც მოუწევდათ. ის, ვინც „ნაციონალების“ მხარეს არ იყო, მაგრამ არც ივანიშვილის მხარეს არ იჭერდა, ივანიშვილისადმი სიმპათიებით იყო გამსჭვალული. დღეს სხვა რეალობაა. ჯერ ერთი, ხალხს არ მოუთხოვია ბიძინა ივანიშვილი (ეს გააკეთა კვირიკაშვილმა, როდესაც თქვა, რომ ჩემი თხოვნა იყოო და არა ხალხის!).

ამასთან, სააკაშვილის დაბრუნების საფრთხით, მის წინააღმდეგ მოწოდებას ისეთი გამაერთიანებელი ეფექტი არ ექნება. **ივანიშვილისგან ფულის დარიგების იმედიც გამქრალია, მას უკვე ჰყავს ყოფილ მხარდამჭერებში მოწინააღმდეგეები, უფრო მეტიც, მისმა პოლიტიკურმა სტრატეგიამ „შუაში გაკრეფის“ შესახებ კრახი განიცადა და პოლიტიკურ ველზე უფრო მეტმა ამოიყარა, ვიდრე გაკრეფამდე იყო. ყოფილი პარლამენტარებიდან ივანიშვილის აქტიური მხარდამჭერი საზოგადოება არ შეიქმნა. ის მოსახლეობის მასაში მიზიდულობისა და ავტორიტეტის იმ ძალის მქონე აღარაა, როგორც პოლიტიკაში პირველად მოსვლის დროს, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პოლიტიკაში და სახელმწიფო საქმეების სიკეთისკენ მოსაბრუნებლად მისი ბოლო შანსია.**

4. ჩაივლის?

როგორადაც არ უნდა იყოს შესუსტებული **ბიძინა ივანიშვილის** პოზიციები, მისი შესაძლებლობები როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური, ერთი თავით აღემატება ყველა სხვა არსებულ ფიგურებს საქართველოს პოლიტიკურ დაფაზე.

მთავარია, ამ შესაძლებლობას ის როგორ გამოიყენებს.

უმთავრესი საკითხი ფილოსოფიურია.

აქ მთავარია, თუ რა დასკვნებს აკეთებს ის საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფიიდან.

ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკაში მობრუნებით დგება მესამე ფაზა ხელისუფლებაში – ჯერ იყო კოჰაბიტაცია, შემდეგ სოლოკრატია და ახლა, ახალი ფაზა, რომელიც ჯერ განსაზღვრული არაა.

რა იქნება ეს ახალი მოდელი? ავტორიტარიზმი თუ გაუმჯობესებული დემოკრატია?

ვინ გააკეთებს ამას?

მმართველი ელიტა დემოკრატიის განვითარებისთვის ძნელად წარმოსადგენია რომ გამოდგეს.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც კი შეატყვეს, რომ პრობლემებია, სულისკვეთებით ახალი გზების ძიება კი არ დაიწყეს, არამედ „ჟივილ-ხივილი“ გამართეს.

არავის არ გახსენებია ტატოს ნათქვამი:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

რადგან ივანიშვილი „დარწმუნდა, რომ პროცესებში უნდა ჩაერთოს, ესე იგი ჟივილი-ხივილი ფუჭად არ გაგვიმართავს“, – განაცხადა **ნუკრი ქანთარიამ.**

პირველი საკითხი ქვეყანაში ეფექტიანი მმართველობის, კადრებისა და, ზოგადად, ბიუროკრატიის პრობლემაა.

თუ ეს საკითხი არ გადაწყდა და საკადრო პოლიტიკა იგივე დარჩა, მაშინ მივიღებთ იმავე ხარისხის მმართველობას და შედეგებიც კატასტროფული იქნება როგორც **ბიძინა ივანიშვილისთვის,** ისე საქართველოსთვის.

მინდა, მკაფიოდ განვუცხადო, ვინც გაფიცვას აპირებთ, მეტრო გაიხსნება თუ არა, ამ გადაწყვეტილებას ვიღებ მე

მეტრო გაიხსნება თუ არა, ამ გადაწყვეტილებას ვიღებ მე და იღებს **თბილისის მთავრობა** – ამ განცხადებით დედაქალაქის მერი მეტროს მემანქანეების მიერ დაგეგმილ გაფიცვას ეხმაურება. კალაძე აცხადებს, რომ მეტრო იმუშავებს, როგორც 3 მაისს, ისე ნებისმიერ დღეებში და მოემსახურება ქალაქის მოსახლეობას.

მისივე თქმით, სრულებით მიუღებელია ისიც, რომ ეს ადამიანები და კონკრეტული პროფესიული კავშირის წევრები საუბრობენ სატრანსპორტო კომპანიისა და მუნიციპალიტეტის სახელით და ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან არა მხოლოდ მერიას, არამედ დედაქალაქის მოსახლეობას.

„არაერთი შეხვედრა შედგა მერიაში, დედაქალაქის მთავრობასთან, სადაც ჩვენ მათ დეტალურად განვუმარტეთ ის რეალობა და ეკონომიკური ვითარება, რაც დღეს მუნიციპალიტეტში არსებობს და ძალიან კარგად იქნა ახსნილი, რომ შეუძლებელია იმის დაკმაყოფილება, რასაც ეს ადამიანები ითხოვენ.

ჩემთვის, ისევე, როგორც თითოეული მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ის შრომა, რასაც ეს ადამიანები ეწევიან, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების არანაკლებ საპასუხისმგებლო საქმიანობა.

ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ამის შედეგად, როგორც მოქალაქეების, ასევე, მუნიციპალიტეტის სისტემაში დასაქმებული მოსამსახურეების შრომითი პირობების გაუმჯობესება. მე არასოდეს მივუდგები ინდივიდუალურად თანამშრომელთა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს და არ მივიღებ მხოლოდ მათთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს. პატივს ვცემ თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და ძალიან შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმიანობაა ის, რასაც ისინი ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებენ ქალაქისთვის და ემსახურებიან დედაქალაქის მოსახლეობას. ჯერ კიდევ არ მქონდა ოფიციალურად მუშაობა დაწყებული, როდესაც მივედი სატრანსპორტო კომპანიაში და ამით მე დავუდასტურე პატივისცემა და კარგად მაქვს გათვითცნობიერებული და გააზრებული ამ ადამიანების შრომა. თუმცა ის დამოკიდებულება, ის მიდგომები, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ჩვენ მოვისმინეთ, სრულიად მიუღებელია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერი „ვარდების მოედნისთვის“ სახელის შეცვლის ინიციატივაზე

დედაქალაქის მერი კახი კალაძე „ვარდების რევოლუციის“ მოედნისთვის სახელის გადარქმევას მხარს უჭერს. განცხადება დედაქალაქის მერმა თბილისის მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

„თბილისის საკრებულომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დედაქალაქის სხვადასხვა ქუჩასა და მოედანს სახელი გადაერქმევა. მთლიანობაში, 18 ლოკაცია დასახელდა და ერთ-ერთი გახლავთ „ვარდების რევოლუციის“ მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭება.

ჩვენ ამ წამოწყებას, რა თქმა უნდა, მივესალმებით. განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად, როგორც ვიცი, არის ოცდღიანი ვადა.

წელს აღვნიშნავთ ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს და იმედს ვიტოვებ, რომ საზოგადოება ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერია სპორტსმენებს ეხმარება

თბილისის მერიამ ახალი ქვეპროგრამა დაიწყო, რომელიც სპორტის 30-მდე სახეობაში პროფესიონალი და მოყვარული სპორტსმენების სპორტული ინვენტარით და ეკიპირებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

კახა კალაძის თქმით, დაფინანსებას მიიღებენ ის სპორტული ფედერაციები და სპორტული კლუბები, რომელთა საქმიანობა სოციალური მიზნების განხორციელებისკენ არის ორიენტირებული. პროგრამის ბიუჯეტი 600 ათას ლარს შეადგენს.

„როდესაც საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებდით, ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნებოდა სპორტის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. შეიძლება, ყველა პროფესიონალი სპორტსმენი ვერ გამოვიდეს, თუმცა სპორტული ცხოვრება სხვა წარმატებების საწინდარია, ამიტომ მერია აქტიურ მუშაობას იწყებს მასობრივი სპორტისა და სხვადასხვა სპორტის სახეობების განვითარებაზე. პროგრამა ხელს შეუწყობს თბილისის ნაკრები გუნდების, კლუბების და სპორტსმენების პირობების გაუმჯობესებას, მასობრივი სპორტის განვითარებას და ამ მიმართულებით მეტი წარმატების მომსწრენი გავხდებით“, –განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, სპორტის სახეობების ბიუჯეტი, რომლის დაფინანსებაზეც დღეს მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, 320 ათას ლარს შეადგენს. ეს სახეობებია: სამბო, კრივი, საცხენოსნო, სროლა, ჭიდაობა, ჩოგბურთი, ფრენბურთი.

თავის თავზე



პირადად მე მგონია, რომ სავსებით წესიერად ვივარცხნი თმას, თუმცა არცროდის არ მიმტკიცებია, თმა ჩემი ყველაზე მიმზიდველი ნიშანდობლიობაა-მეთქი. ასეთი თმავარცხნილობით უკვე ისე ხანგრძლივ ვიცხოვრე, აზრი აღარ აქვს ჩვეულებაზე დაუარებას.

ცოტა არ იყოს, ვერთობი კიდეც, ისე ხშირად მეკითხებიან ადამიანები სხვისი თმა ხომ არა გაქვს ჩაწნული, პარიკი ხომ არ გადევსო. პასუხი ყველამ რომ იცოდეს: ერთმნიშვნელოვანია და კატეგორიულად ვამბობ — „არა, პარიკი არ მადევს!..“ ჩემი თმა ასი პროცენტით საკუთარი თმაა, არც ერთი საცოდავი ცხოველი არ დაზარალებულა ჩემი ვარცხნილობისთვის.

* * *

კოლეჯში რომ ვსწავლობდი, კინოპროდიუსერობაზე ვოცნებობდი, მაგრამ როცა ჩემს მეგობართაგან რომელიმესთან ამაზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, იმ წუთას მზად ჰქონდა პასუხი: „მისმინე, რად გინდა ეს კინო რომ ამოგიჩემებია, როცა უკვე ამდენი რამ იცი უძრავი ქონების თაობაზე?“ ასე რომ, სიმართლე რჩება სიმართლედ: მამაჩემი მილიონებსა ფლობდა, მაგრამ ჩემთვის სწორი ბიზნეს-აზროვნება რომ არ ესწავლებინა, ნამდვილად ვერ ვეღირსებოდი ექსკლუზიური „მილიარდერთა კლუბის“ წევრობას.

* * *

მე Brioni-სეულ კოსტიუმებს ვიცვამ, თანაც მზამზარეულს ვყიდულობ. ზოგს ჰგონია, რომ მზა შეკერილს ინდივიდუალურად შეკერილი სჯობს. ჩემი რჩევაა, ინდივიდუალურად შეკერვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია, კარგი, თუ არასტანდარტული ფიგურა და თავისუფალი დრო ჭარბად გაქვთ.

* * *

ჩემი ურყევი გულდაჯერებულობა ჩემს ძალებში მამაჩემის რწმენის შედეგია. თვით 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა ყველაზე უფრო სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიყავი უძრავი ქონების ბაზრის კონიუნქტურის მკვეთრად დაცემის შედეგად მილიარდიანი ვალების გამო, როცა ივანა თავის ადვოკატებიანად, აგრეთვე ზოგიერთი ბანკი გაკოტრებით მემუქრებოდნენ. მამაჩემი სულ იმას მეჩიჩინებოდა, აუცილებლად დააღწევ თავს ამ განსაცდელს და შენი ბიზნესი აყვავდებაო. „სხვანაირად არც შეიძლება რომ მოხდეს, — მეუბნებოდა იგი, — შენ ხომ საოცარი ბიჭი ხარ, მეფე ხარ“.

* * *

დამიჯერეთ, ჩემზე უკეთესად კედლებს ვერცვინ ვერ აშენებს.

* * *

ბევრში გაკვირვებას იწვევს ის სისწრაფე, რა სისწრაფითაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვიღებ, მაგრამ მე უკვე ვისწავლე ჩემი საქმიანი ალღოს ნდობა და ერთი ადგილის დიდხანს არ-ტკეპნა. ტყუილუბრალოდ არ შემიდარებია გადაწყვეტილების მიღების პროცესი „ძირითადი ინსტინქტისთვის“: ისიც აგრეთვე გვამხნევებს და გვიტაცებს, გვანიჭებს ენერგიას. ყველა ჩვენგანს გვიზიდავს მშვენიერი, სულერთია, მომხიბლავი პიროვნებაა თუ საუცხოო საცხოვრისი. ყოველთვის, როცა კი არჩევნის წინაშე ვდგავარ, ვცდილობ ვითარებისთვის გვერდიდან შეხედვას და ჩემი პირველი შთაბეჭდილების გახსენებას. ის დღე, როცა პირველად შევიცანი ასეთი მიდგომის უპირატესობა, აქამდე რჩება ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღედ.

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ იმდენის დახარჯვაა საჭირო, რამდენისაც აუცილებლად მიგაჩნია. მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება იმაზე მეტის დახარჯვა, ვიდრე საჭიროა.

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

* * *

ყოველთვის ვოცნებობდი შეუფასებლად ყოფნაზე.

* * *

თუ ადამიანები გულსა მტკენენ, არცროდის ვალში არა ვრჩები.

* * *

მე მომწონს მტრების ყოლა. მტრებს მუდამ ვებრძვი. მომწონს მტრების ბეჭებზე დადება.

* * *

საქმის წარმოების ჩემი სტილი უბრალო და პირდაპირია. მე მხოლოდ ვაწვები, ვაწვები და კიდევ ერთხელ ვაწვები იმას, რისი მიღწევაც მინდა.

* * *

ერთადერთი განსხვავება ჩემსა და დანარჩენ კანდიდატებს შორის ის არის, რომ მე უფრო პატიოსანი ვარ, ხოლო ჩემი ქალები ბევრად უფრო ლამაზები არიან.

* * *

ფული არცროდის არ მიზიდავდა თავისთავად. ჩემთვის ეს მხოლოდ წარმატების გაზომვის საშუალებაა.

* * *

ბიზნესს ისე ვუდგები, როგორც ხელოვნებას, ვიღაც ტილოზე ხატავს ან ლექსებს წერს. მე კი გარიგებებს ვდებ, როგორც წესი, დიდ გარიგებებს.

* * *

მსოფლიოში მეტისმეტად დიდი ხმაურია. უფრო სწორად, გნიასია. პირადად მე გარკვეული დრო მჭირდება (ჩვეულებრივ სამიოდე საათი დღეში), სიწყნარეში გასატარებლად, რათა ელემენტარული თვითფლობა შევინარჩუნო. ეს დრო განკუთვნილია კითხვისა და ფიქრთ გასართველად და ამის შემდეგ ყოველთვის დასვენებულად და განახლებულად ვგრძნობ თავს. სწორედ ამ სამიოდე საათის განმავლობაში ჩემი ექსტრავერტული ნატურა საკვებს იღებს შემდგომი მოქმედებებისთვის.

* * *

ფიქრობენ, რომ დიდ წარმატებას მხოლოდ პრომოუტერის ნიჭის წყალობით მივაღწიე, თუმცა სინამდვილეში ყველაფერი პირიქით არის — მე წარვემატე და სწორედ ამან მომიტანა გარკვეული სახელი.

* * *

მე ადამიანთა ფანტაზიებზე ვთამაშობ. ოდნავ გაზვიადება არცროდის მავნე არ არის. ადამიანებს იმის დაჯერება უნდათ, რომ რაღაცა არის ყველაზე დიდი, ყველაზე ეფექტური. ამას მართალ გაზვიადებას ვეძახი. ეს გაზვიადების უვნებელი სახეა, ოღონდ რეკლამის ძალიან ეფექტური სახეობაა.

* * *

მე მტკიცე გაბედული და დაჟინებული ვარ, უამთვისებებოდ კი ვერცროდის ვერ წარემატები. მტკიცე თუ ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უსიამოვნო, შეუგებელი, უთავსი და დამთხვეული ხარ. სიმტკიცე შეუპოვრობაა და კატეგორიული დაუარებაა დანებებაზე ანდა რისამე დათმობაზე, გზიდან ჩამოცილებაზე. ჭეშმარიტად ფასეულ რასმე იშვიათად თუ მოიპოვებ იოლად და ჩვეულებრივ საგულდაგულო მომზადებას, დროსა და ბეჯით შრომას მოითხოვს.

* * *

უკვე ჩვეულებად გამომიმუშავდა, რომ მხოლოდ ისეთ საკურორტო ადგილებში წავიდე, სადაც ფართო წყლის სივრცეებია და სადაც შეიძლება ყველა თვალსაზრისით კეთილმოწყობილად დაბინავება. საქმე ის არის, ჩემი ვაჟებისგან განსხვავებით, არ მიყვარს ველურ ბუნებაში გასვლა — არც არასოდეს მიზიდავდა კლდეებზე ბღოტვა ანდა აბობოქრებულ ჭორომებიან მდინარეზე დაცურება. ვერ გამიგია, რატომ უნდა ავიღმართო ევერესტი, თუკი ასეთივე წარმატებით შემიძლია იმისი დანახვა ტელევიზიით ან ალბომში აღბეჭდილ ფოტოგრაფიებზე? რაც თავი მახსოვს, სულ ვამბობდი: „არ არის საჭირო ბუნებასთან ორთაბრძოლაში შებმა, ბოლოს და ბოლოს გამარჯვება მუდამ ბუნებას რჩება“. სასტუმროში ბევრად მეტი კომფორტით შეიძლება დროის გატარება, ვიდრე ღია ცის ქვეშ.

* * *

მეგობრებთან ურთიერთობა კარგია, ოჯახთან — კიდევ უფრო უკეთესი. გაცილებით გონივრულია ოჯახის წევრების ნდობა, ვიდრე მეგობრებისა. ახალგაზრდა რომ ვიყავი, ერთი დიდი ბიზნესის მფლობელს ვკითხე — შენს ძმებსა და დებს თუ ხვდები-მეთქი? მან შემომხედა, ცოტა დაყოვნდა და მიპასუხა: „კი, დონალდ, ვხვდები, ოღონდ სასამართლოში“. ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ იმის მერე სულ ვცდილობ სიახლოვის შენარჩუნებას ჩემს ძმებთან, დებთან, ბავშვებთან და ყოფილ ცოლებთანაც კი.

* * *

ხან დიდ სიფრთხილეს ვიჩენ, რა არი ადამიანებს არა ვავნო რა, იმიტომ რომ, თუ ვინმე გზას გადამიჭრის პირადი ან პროფესიული თვალსაზრისით, ვაითუ უსიამოვნება რამ შეხვდეს.

* * *

მე მიყვარან ლამაზი ქალები, ლამაზ ქალებს კი მე ვუყვარვარ. კარგია, რომ ეს ორსავე მხარეს მუშაობს.

* * *

მე არცროდის არ მნდომებია, რომ ჩემთან ისეთ ადამიანს ემუშავა, ვისაც ჩემს კომპანიაში მუშაობა არ ენიაზება; თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ: ნუ გაჩერდებით იქ, სადაც არ მოგწონთ ყოფნა.

* * *

ერთადერთი, რასაც მივხვდი ან ბევრი კონტროლია, ან ცოტა კონტროლია. მე კი არავითარი კონტროლი არ მინდა.

* * *

სუყოველი პროგრესული წამოწყების ავანგარდში სვლა მომწონს — ფულის გულისთვის არა, მონაწილეობის წმინდა წყლის სიხარულის გამო. ამაზე არცროდის უარს არ ვიტყვი.

* * *

ჩემ გარშემო მუდამ ისეთი ადამიანების შემოკრებას ვცდილობდი, ვინც არ მიღალატებს მაშინაც კი, ხვალ რომ გავღატაკდე კიდეც.

* * *

მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლაში შევიგნე, რომ მსოფლიოზე ძალუმად ზემოქმედებს ორი რამ — ომი და ბუნება. ბუნება, როგორც ომი, მძლავრი ძალაა. ომი ცვლის პოლიტიკურ და კულტურულ ლანდშაფტს, ბუნებას კი ამავე დროს გეოგრაფიული ლანდშაფტის შეცვლის ძალა შესწევს.

* * *

გარიგებებს ძალიან მარტივად ვდებ. ჩემი სტილი პირდაპირობაა. მიზნებს მუდამ დიდს ვისახავ, მერე კი გაბედულად ვმოქმედებ. ვეძალები და ვეძალები მანამდე, სანამ იმას არ მივიღებ, რაც მინდა. ხან იმაზე ცოტას ვინაგრებ, ვიდრე მინდოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სასურველს ვაღწევ.

* * *

სიმდიდრე ჩემთვის ხელსაწყოა, რომელიც მკაფიოდ ფორმულირებული მიზნების მიღწევის საშუალებას მაძლევს.

* * *

მე მამაჩემზე მდიდარი ვარ, მაგრამ ნულიდან არ დამიწყია — სტარტზე ძალიან კარგი ფუნდამენტი მქონდა, თანაც კიდევ მამაჩემი ყოველთვის იყო ჩემთვის მეწარმის დიდებული მაგალითი და იმის გვერდით ვიზრდებოდი არა მხოლოდ როგორც შვილი, არამედ როგორც ბიზნესმენიც. თუმცა ჩვენი ოჯახის წევრები შეჯიბრებით არცროდის არ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, და, ვფიქრობ, მეც ამ გზით ვივლი მუდამ.

* * *

ძალიან მიყვარს რომელიმე დაუმთავრებელი ობიექტის ყიდვა და იმისი დიდებულ რამედ გადაქცევა. სილამაზე და ელეგანტურობა — ქალში თუ ხელოვნების ნაწარმოებში, ეს კიდევ ერთი ჩემი გატაცებაა. სილამაზე ეს ის არ არის, რაც ზედაპირზე დევს, არც ის არის, რის შეხედვაც უბრალოდ სასიამოვნოა. ეს სტილის პროდუქტია, სტილის გრძნობა კი გულისგულში ღრმად ცოცხლობს. ჩემთვის სტილის ტფრიალი და წარმატება ბიზნესში მჭიდროდ არის ერთმანეთში გადაწნული. ერთი უმეოროდ ჩემთვის წარმოუდგენელია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-87, 89

ფერწერის ყოვლის უფრო საუკეთესო ნაწარმოებებად მიმაჩნია ჩემი ქალიშვილის ტიფანის თითით მიერ დახატული სურათები; პირდაპირ მორთო და გაალამაზა ჩვენი სახლი იმ სურათებით, ვერცრა ახლოს ვერ მივა ამ სასწაულთან.

როცა ბედაურები ირეცებიან...

ორი ვიზიტის თვალსაწიერი

გასული კვირის მაღალი დონის ვიზიტებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმ „ბატონ-ყმობას“, რასაც ე.წ. დემოკრატიის „სავანეში“ აქვს ადგილი. საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონის და გერმანიის კანცლერის მერკელის „ბატონთან“ ხლებამ დაგვანახა ის ნამდვილი სურათი, რასაც რახანია ვუმზერთ, თუმცა გულის კუნჭულში მაინც გვჯერა, რომ სუვერენიტეტი, თავისუფლება და დემოკრატია სრული ჭეშმარიტებაა იმ „დალოცვილ“ ევროატლანტიკურ სივრცეში.

მაინც რისი განხორციელება სურდათ ევროკავშირის გიგანტებს, გერმანიასა და საფრანგეთს ამერიკაში ჩასვლით? უპირველეს ყოვლისა იმის, რაც ევროკავშირმა შინ უნდა გადაწყვიტოს – საკუთარ გარემოში, მაგრამ ვერ წყვეტს!

ევროკავშირი დამოუკიდებლად რომ ვერაფერს აკეთებს, ცნობილია. ის ყოველთვის ოკეანისგაღმა იყურება – შიშით, ისეთი არაფერი ქნას, ამერიკას რომ ეწყინება. ევროატლანტიკურ „თანამშრომლობას“ დემოკრატიად ასაღებენ, თან დანარჩენ მსოფლიოს მოუწოდებენ ისეთი „დემოკრატიისა“ და „სუვერენიტეტისკენ“, მათ რომ აქვთ.

რით იყო გამოწვეული მაკრონ-მერკელის ამერიკული ვოიაჟი?

არაერთი მტკივნეული პრობლემით, ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებს რომ ეხება, სირიაში მიმდინარე პროცესებს, რუსეთის მიერ სოლსბერიში ქიმიური იარაღის „გამოყენებას“, სირია-რუსეთის მიერ ქიმიური ბომბებით ქ.დუმის „დაბომბვას“, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების გაუქმებას, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისა და გერმანიის მიერ ირანთან დადებული ხელშეკრულების რევიზიას, აშშ-ევროპას შორის დაწყებულ სავაჭრო „ომს“ და ა.შ.

ჩამოთვლილი საკითხების გაანალიზება შორს წაგვიყვანს, ვერც გაზეთის ფურცლები დაიტევს. ვიტყვი მთავარზე - ეკონომიკურ სანქციებზე. უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე აშშ-მა სანქციები დაუწესა რუსეთს, ამასთანავე აიძულა ევროკავშირი, გაეზიარებინა ვაშინგტონის გადაწყვეტილება.

მაშინ 2014 წელი იყო და ევროკავშირის ეკონომიკა არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა. თითქოს არც დღეს არის ამ მხრივ ცუდი ვითარება, მაგრამ ევროპული ბიზნესი, განსაკუთრებით გერმანულ-ფრანგული, სერიოზულ დეფიციტშია. ეკონომიკურმა სანქციებმა მძიმედ იმოქმედეს მათზე. დანაკარგი, მილიარდობით დოლარს შეადგენს, რაც არა მარტო ბიზნესზე, არამედ ქვეყნებზეც აისახება. ბიზნესი მიმართავს ხელისუფლებას - მოაწესრიგოს შექმნილი ვითარება - ანტირუსული სანქციების გაუქმებით.

ერთი შეხედვით ევროკავშირის მიერ შემოღებული სანქციები, ევროკავშირმავე უნდა გააუქმოს, მაგრამ ევროკავშირმა აშშ-ის ზემოქმედებით შემოიღო სანქციები ანუ მთავარი შემოქმედი „დიდი ბატონია“, ურომლისოდაც ბრიუსელი ვერაფერს გახდება.

ევროკავშირის წევრი 28 სახელმწიფო ე.წ. სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყნები, შოშიებივით შეჰყურებენ აშშ-ს და მისი კეთილი ნების გარეშე თითსაც ვერ ანძრევენ. თვით ევროკავშირშიც იგივე ვითარებაა. 28 წევრი სახელმწიფოდან არც ერთს ხელი არ ეწიფება, გადადგას დამოუკიდებელი ნაბიჯი. რასაც ბრიუსელი იტყვის, ნებისმიერი წევრი ქვეყანა ვალდებულია, უყოყმანოდ შეასრულოს.

რუსეთში ცალ-ცალკე ვიზიტის დროს გულზე მჯიღს ირტყამენ საკუთარი სუვერენულობის დასამტკიცებლად, კატეგორიულად აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან ანტირუსული ეკონომიკური სანქციების, რის შესახებაც თავიანთ ომახიან სიტყვას იტყვიან ევროკავშირის სამიტებზე. მაგრამ როგორც კი სათათბირო დარბაზში შეიკრიბებიან, უმალ ივიწყებენ მკერდზე მჯიღის ბრაგუნსაც, საკუთარი სუვერენიტეტის გამომხატველ სიტყვებსაც და ყველა ერთხმად მხარს უჭერს სანქციების გახანგრძლივებას.

„დემოკრატიული“ ცენტრალიზმი, რაც ევროკავშირში სუფევს, იმაზე უარესია, საბჭოთა კავშირში რომ იყო. საკმარისია რომელიმე სახელმწიფომ, რაიმე საკითხზე საკუთარი განსხვავებული მოსაზრება გამოხატოს, ის უმალ ხდება ბრიუსელისა და დანარჩენი წევრი ქვეყნების კორტნის ობიექტი. ამ თვალსაზრისით მოწინავეთა რიგებში უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანია, რომელიც არ იზიარებს ბრიუსელის მოწოდებას მუსლიმანი ლტოლვილების მიღების თაობაზე, რითაც ბრიუსელის პერმანენტულ რისხვას იმსახურებს.

ორბანი და მისი პარტია, რომელმაც სულ ახლახან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა არჩევნებში, კრიტიკის მთავარი თემაა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მისი გამარჯვება არავის გახარებია ბრიუსელში. რა არის ამის მიზეზი?

დამოუკიდებელი პოლიტიკა, თუმცა ამ დამოუკიდებლობასაც აქვს საზღვრები. მაგალითად, უნგრეთი შეუერთდა ევროკავშირის დანარჩენ წევრებს სირიის წინააღმდეგ აშშ, ინგლის-საფრანგეთის აგრესიაში. ასე მოიქცნენ ზოგიერთებიც, რომლებიც გმობდნენ სუვერენული სირიის მიმართ ყოველგვარ აგრესიას.

ევროკავშირი არის ის, ვინც ხელს აფათურებს საქართველოს კანონმდებლობაში, გვაძალებს ჩვენი ყოფის, ტრადიციების საწინააღმდეგო კანონების მიღებას. და ამას აკეთებს მეტწილად იმ ახალგაზრდების ხელით, ვინც გამოზარდეს, ავარჯიშეს, გონება გამოურეცხეს და სამშობლოში დაბრუნებისთანავე არასამთავრობო ორგანიზაციები შეუქმნეს.

საქართველოში ჰგონიათ, რომ ევროკავშირში შესვლით ვეზიარებით ევროპულ ფასეულობებს, გარანტირებულ სუვერენიტეტს, თავისუფლებას და „სამაგალითო დასავლურ დემოკრატიას“.

ღრმად ცდებიან! არათუ საქართველოს, ევროკავშირის ძველ წევრებსაც სუვერენიტეტის დეფიციტი აწუხებთ, რის გამოც სისტემატურად წუწუნებენ ბრიუსელში, თუმცა ამ უკანასკნელის შიშით მეტზე აღარ მიდიან. ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა, ბრიტანეთმა, შეძლო „მეტზე“ წასვლა და საცაა ევროკავშირს დატოვებს. სხვები ჯერ წუწუნებენ, თუმცა კავშირიდან არც მათი გასვლა იქნება გასაკვირი, ვინაიდან არავის მოსწონს ზესახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც ბრიუსელშია და მახვილით ემუქრება ნებისმიერი მისი წევრის განსხვავებულ მოსაზრებას.

სამწუხაროდ, ევროკავშირი ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბდა, კლავს ყოველივე ეროვნულს, აიძულებს წევრ სახელმწიფოებს, გაიზიარონ მათთვის მიუღებელი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, გეი-აღლუმები, ლგბტ-სთან დაკავშირებული სხვა „სიკეთეები“.

ევროკავშირი არის ის, ვინც ხელს აფათურებს საქართველოს კანონმდებლობაში, გვაძალებს ჩვენი ყოფის, ტრადიციების საწინააღმდეგო კანონების მიღებას. და ამას აკეთებს მეტწილად იმ ახალგაზრდების ხელით, ვინც გამოზარდეს, ავარჯიშეს, გონება გამოურეცხეს და სამშობლოში დაბრუნებისთანავე არასამთავრობო ორგანიზაციები შეუქმნეს.

ხელისუფლების კადრების სამჭედლო-არასამთავრობო ორგანიზაციები წარმატებით ახორციელებენ დასავლური აზროვნების საკუთარი კადრების, სახელისუფლებო ორგანოებში დელეგირებას, მედიის, საექსპერტო სივრცის დაკავებას. მათი მთავარი მიზანი „მასწავლებლების“ გულის მოგება და ნებისმიერი დასავლური დავალების პირნათლად შესრულებაა. სამწუხაროდ, ამ პროცესში არსად მოიაზრება ქვეყნის კეთილდღეობა.

ახალი ცხოვრების და ფასეულობების დასანერგად არც თანხები იზოგება, არც საეთერო სივრცე, არც ადამიანთა გონება – სისტემატური პრესის ქვეშ რომ არის მოქცეული ე.წ. დემოკრატიის მხრიდან. მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ხერხია გამოყენებული, მეტადრე წარსულის გინება, განსაკუთრებით საბჭოურის, რუსეთის შავ ფერებში მოხსენიება, დსთ-ს, ევრაზიული კავშირის იდეების დაცინვა და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობას გამუდმებით ეუბნებიან, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლა ნიშნავს რუსეთის ბატონობის ქვეშ დაბრუნებას; რომ ეს და სხვა კავშირი, რომელიც ძველ საბჭოთა რესპუბლიკებს აერთიანებს, დაახლოებით ისეთია, როგორიც საბჭოთა კავშირი. რომ სათათბირო მაგიდის თავში პუტინი ზის და ძალისმიერი მეთოდებით ახორციელებს დსთ-ში ან ევრაზიულ კავშირში მყოფ ქვეყნებზე ზეწოლას.

სათათბირო მაგიდის თავში ვინც ზის, ერთხელ უკვე ვიხილეთ აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის უკრაინაში ვიზიტის დროს. ისიც ვიხილეთ მაგიდასთან მსხდომი უკრაინის ხელისუფლება, დაბნეული და შიშნარევი თვალებით როგორ უმზერდა ოკეანისგადაღმელ „ბატონს“, რომელიც თითის ქნევით საყვედურობდა მას.

თანამედროვე პოლიტიკაში ჩაუხედავი ხალხი ივჯერებს „ოკეანედალეულთა“ ტყუილებს რუსულ, უფრო სწორად პუტინურ დიქტატთან დაკავშირებით და წამითაც არ ფიქრობს, რომ დღევანდელ რუსეთში სულ სხვა ვითარებაა, თუნდაც დემოკრატიის თვალსაზრისით, ვიდრე „დემოკრატიულ“ ევროკავშირში. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი – დსთ-ს არც ერთმა წევრმა ქვეყანამ არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რატომ არ დააძალა მათ კრემლმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა?

აშშ-ის განკარგულებით კოსოვოს დამოუკიდებლობა მთელმა ევროპამ აღიარა, თანაც წამითაც არ შეყოყმანებულან, მაშინ, როდესაც დსთ-ს წევრებმა მხარი არ დაუჭირეს რუსეთს ყირიმის მიერთებაში.

სულ ახლახან კი გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის დროს, როდესაც სირიის ქ.დუმაში ქიმიური იარაღის გამოყენების საკითხი იხილებოდა, რუსეთის მთავარმა პარტნიორმა და მეგობარმა ქვეყანამ ყაზახეთმა თავი შეიკავა რუსეთის მიერ შეტანილ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც გმობდა აგრესიას სირიის წინააღმდეგ:

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყაზახეთის გაწევრება უშიშროების საბჭოს არამუდმივ ფორმატში მხოლოდ რუსეთის დაჟინებული მოთხოვნის შედეგია. გარდა ამისა, ასტანა, სადაც ზედიზედ გაიმართა სირიის საკითხებთან დაკავშირებული სამიტები, თავისთავად ავალდებულებდა ყაზახეთს მხარი დაეჭირა რუსეთის პროექტისთვის.

ყაზახეთი „ოდკბ“-ს წევრია, მაგრამ ახერხებს ნატოსთან და აშშ-თან ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებას. სულ ახლახან ხელი მოეწერა სამხედრო თანამშრომლობის ხუთწლიან გეგმას (2018-2022 წ.წ.). არის ლაპარაკი აშშ-ყაზახეთის ერთობლივი სამხედრო ბაზის მშენებლობის თაობაზე კასპიის ზღვაში. ამ თვალსაზრისით ყაზახეთმა უკვე გამოთქვა სურვილი აშშ-ის სამხედრო კატარღების შესყიდვის თაობაზე.

ყაზახეთ-აშშ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ავღანეთში არსებული ამერიკული სამხედრო კონტიგენტისთვის ტვირთების ყაზახეთიდან მიწოდების თაობაზე, ანუ ეს ტვირთები აზერბაიჯანიდან, ზღვით მიეწოდება ყაზახეთს, იქიდან კი ავღანეთს. წამით დავფიქრდეთ, რას შეამთხვევდა ბრიუსელი ევროკავშირის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, თავის ტერიტორიაზე რომ გაემართა რუსეთთან ერთობლივი სამხედრო წვრთნები?!

ასე რომ, ის ზღაპარი, რასაც ჩვენ გვასმენინებენ რუსული დიქტატურის თაობაზე, მამალი ტყუილია და იმ დასავლური პროპაგანდის ნაწილია, ჩვენ რომ ჩაგვახუტებინეს.

დავუბრუნდეთ ისევ იმ თემას, რითაც დავიწყეთ. ორივე ვიზიტმა, განსაკუთრებით მაკრონის, დიდი ვერაფერი მოიტანა, მაგრამ ვიზიტის გარეგნულმა ელფერმა ერთობ უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა დიპლომატიაში ჩახედულ ადამიანებზე. განსაკუთრებული ნეგატიურობით გამოირჩევა ამერიკული მედია, თუმცა არც ფრანგული ჩამორჩება – იხსენებენ დე გოლს, მიტერანს, შირაკს – დიდ პოლიტიკოსებს და მათ გვერდში დაცინვით აყენებენ მაკრონს, განსაკუთრებით იმ კადრს, როდესაც ტრამპი მას ბოჩოლასავით მიათრევს.

რა გაეწყობა, ასეთია ის „დალოცვილი“ დასავლეთი, საითკენაც მივდივართ - დინჯი, ჭკვიანი პოლიტიკოსებიდან, მჩატე, ნაკლებად სერიოზულ პოლიტიკოსებამდე ჩამოლაბორანტებული.

„ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ ქვეყანაო“ – ამაზეა ნათქვამი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საოკუპაციო გამყოფ ხაზთან

***ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში უეს მიტჩელი დღეს საოკუპაციო გამყოფ ხაზთან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან ერთად ჩავიდა და ადგილზე გაეცნო ვითარებას. სოფელ ოძისიდან, საქართველოს პოლიციის ბოლო საგუშაგოდან, კარგად ჩანს ოკუპირებულ ახალგორში განთავსებული საოკუპაციო სამხედრო ბაზა. მიტჩელმა ეს ბაზა საკუთარი თვალით ნახა და რუსეთს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საქართველოში ათი წლის წინანდელი ომი მსოფლიოს არ დავიწყებია.*

უეს მიტჩელი მეორე დღეა, საქართველოში იმყოფება. იგი უკვე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს. ამერიკელმა დიპლომატმა მონაწილეობა მიიღო ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმში.

„10 წლის წინათ აქ ომი იყო და დღეს მე აქ ვიმყოფები, რათა რუსეთის მთავრობას შევახსენო, რომ მსოფლიოს ეს ომი არ დავიწყებია. ჩვენ გამყოფ ხაზს არ ვცნობთ სახელმწიფო საზღვრად. ჩვენ ძალიან გვაღელვებს გამყოფ ხაზთან და მის მიღმა მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების მდგომარეობა, ვგმობთ მათი დაკავების, წამებისა და მკვლელობის ფაქტებს და ოჯახებს სამძიმარს ვუცხადებთ. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გააუქმოს საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება და, ასევე, ხელი შეუწყოს რეგიონში ჰუმანიტარულ მიმოსვლას. აშშ მტკიცედ ერთგულია საქართველოს, როგორც პარტნიორის, უსაფრთხოებისადმი და აფასებს მთავრობის, პარლამენტისა და ხალხის ძალისხმევას, აჩვენოს ღრმა ერთგულება დემოკრატიული რეფორმებისადმი. ვაფასებთ საქართველოს ლიდერობას, როგორც წარმატებული დემოკრატიის მაგალითს კავკასიაში“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, როგორც საქართველოს ეკონომიკური, ისე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების თვალსაზრისით.

„ჩვენ დღეს ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომელიც საქართველოს ოკუპაციის შედეგად აქვს; იმ გამოწვევებზე, რომელიც როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ და თვითონ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ პირებს აქვთ; ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნისა და 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მნიშვნელობაზე. აუცილებელია ამ შეთანხმების ყველა პუნქტის შესრულება, რასაც რუსეთი არ აკეთებს იმისთვის, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობა გაჩნდეს. ასევე, ვისაუბრეთ საქართველოს მთავრობის შერიგების პოლიტიკაზე, იმ ინიციატივებზე, რომელიც ქმნის ახალ შესაძლებლობებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის. ჩვენ გვინდა, რომ ამ რეგიონებში მცხოვრები თითოეული ადამიანი იყოს იმ განვითარების მონაწილე, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არის“, — განაცხადა ჯანელიძემ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს უეს მიტჩელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა ადგილზევე მოუწყვეს პატარა პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცოცავ ოკუპაციას, საოკუპაციო ხაზს მიღმა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზების განთავსებასა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხებოდა. სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ირაკლი ანთაძის თქმით, ოძისში საინფორმაციო შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გოგა აფციაური

ახალგორელთა 5 კატეგორია შაბანოვის გრადაციით

ადგილობრივი ქართველებით უშიშროება დაინტერესდა

ცხინვალის **ოკუპირებული რეგიონის უშიშროების რუსმა შეფმა მიხეილ შაბანოვმა ოსურ მედიაში საინტერესო მოხსენება გაავრცელა, რომელიც ახალგორის რაიონის ქართულ მოსახლეობასა და ოსური სპეცსამსახურის მიერ ჩატარებულ მის სოციალურ ჯგუფებად გრადაციას შეეხება.**

„ახალგორის რაიონში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შერყევაზეა მიმართული. ამ მიზნით ქართული მხარე არაოფიციალურად ხელს უწყობს ახალგორელთა ქართული ნაწილის სწრაფვას სრულფასოვანი ლეგალიზაციისკენ და იჩენს მოქნილობას ადგილობრივთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხში. ახალგორის რაიონის ქართული მოსახლეობის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა საქართველოს ხელისუფლების მიერ განიხილება შესაძლებლობად, სამომავლოდ ზეგავლენა მოახდინოს სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებაზე“ — განაცხადა შაბანოვმა ახალგორის რაიონში გამართულ გასვლით თათბირზე, რომელსაც დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვიც ესწრებოდა.

ანუ, შაბანოვის მსჯელობის ლოგიკას რომ გავყვეთ, გამოდის, რომ **„რესპუბლიკის“ უსაფრთხოების ინტერესებშია, ძირძველი ქართული მოსახლეობა ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას გაარიდოს.**

ასეა თუ ისე, შაბანოვის უწყებამ ახალგორელები 5 ძირითად კატეგორიად დაყო, თუ გრადაციით ვიმსჯელებთ — „სანდოობის“ მიხედვით:

პირველ და, სავარაუდოდ, ყველაზე „სანდო“ ჯგუფში შედიან ადგილობრივები, რომელთაც მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა“ გააჩნიათ და მუდმივად ცხოვრობენ ოკუპირებული რეგიონის ტერიტორიაზე. ამ კატეგორიას ძირითადად ოსური სოფლების მაცხოვრებლები განეკუთვნებიან, მათ შორის — წინაგარისა და ორჭოსნის.



მეორე კატეგორიას მიაკუთვნეს ადამიანები, რომლებიც **როგორც საქართველოს მოქალაქეობას ფლობენ, ისე „სამხრეთ ოსეთისას“ და დე ფაქტო საზღვრის ორივე მხარეს უძრავი ქონება აქვთ, ასევე აქვთ საშვები „საზღვრის“ გადასაკვეთად.** აქ იგულისმებიან იკოთის, მოსაბრუნისა და ახალგორის მცხოვრებლები. როგორც შაბანოვმა აღნიშნა, ამ კატეგორიის მოქალაქეები ხელფასს „საზღვრის“ ორივე მხარეს იღებენ და ამ მხრივ ერთგვარ მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ სხვა კატეგორიების მოქალაქეებისთვის.

მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობას ფლობს, მუდმივად ცხოვრობს ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე და „საზღვრის“ ორივე მხარეს უძრავი ქონება გააჩნია. მათ ხელთ აქვთ საშვები სახელმწიფო საზღვრის გადასაკვეთად. ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია, რომლის წარმომადგენლები სახელისუფლებო ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში სხვადასხვა თანამდებობებს იკავებენ“, — დააზუსტა შაბანოვმა.

მეოთხე ჯგუფი — საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, თუმცა რაიონში უძრავ ქონებას ფლობენ და რეგულარულად ჩადიან ცხინვალის რეგიონში საშვების წყალობით.

და ბოლოს **მეხუთე ჯგუფი — საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც გააჩნიათ ახალგორის რაიონში უძრავი ქონება, თუმცა საშვების და „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის“ არფლობის გამო იქ ვერ ჩადიან.**

როგორც ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, „ამ საკითხებში წესრიგია დასამყარებელი და უპირველესად — ხელმძღვანელთა დონეზე“.

„არსებობენ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის მქონე მოქალაქეები, რომელთაც შესაბამისი ნებართვის გარეშე რესპუბლიკის საზღვრების დატოვების უფლება არ აქვთ. მოდით, მოსახლეობის ჯერ ეს ფენა შევისწავლოთ და ჩავატაროთ ახსნა-განმარტებითი სამუშაო ადგილობრივებში. მათ გამო, ვინც ჩვენი რესპუბლიკის მიმართ არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იჩენს, არ უნდა იჩაგრებოდნენ სხვები, რომლებიც თავის მომავალს სამხრეთ ოსეთში ხედავენ“, — დაასკვნა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

და სწორედ ამ თათბირის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე განუცხადა ბიბილოვმა ადგილობრივებს, რომ „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას“ ისინი, მისი წინასაარჩევნო დაპირების მიუხედავად, ვეღარ მიიღებენ.

რუს პოლიტოლოგ ნიკოლაი სილაევისთვის ქართული მოსახლეობის მიმართ მსგავსი პოლიტიკა გაუგებარია:

„ის, რომ ქართული თემის მიმართ პოლიტიკის განხილვაში უშიშროების კომიტეტია ჩართული, უკვე სიგნალია იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მას გარკვეულ საფრთხედ აღიქვამს, გარკვეულ ჯგუფად, რომელიც უშიშროების ჩართულობით უნდა განიხილებოდეს. როდესაც უშიშროების უფროსი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ახალგორელი ქართველების მეშვეობით სამხრეთ ოსეთში პოლიტიკურ ვითარებაზე ზეგავლენას გეგმავს, ცხადია, ეს ლენინგორელი (ახალგორელი) ქართველებისთვის მუქარისშემცველად ჟღერს. ეს ნიშნავს, რომ მათ უბრალოდ ეროვნული კუთვნილების საფუძველზე თვლიან არალოიალურებად, არასანდოებად და ა.შ.“

სილაევის აზრით, **„შეიძლება, დავუშვათ, რომ ოსური უშიშროება სადღაც თავის ქაღალდებში მოქალაქეებს რაღაც კატეგორიებად ყოფდეს, თუმცა მსგავსი გრადაციის საჯაროდ გამოტანა — ეს უკვე თავისთავად არამეგობრული ნაბიჯია ეროვნული უმცირესობების მიმართ“:**

„ეს ყველაფერი სამწუხაროა, რადგან თავის დროზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სწორედ ასეთი აღქმის, ეროვნული უმცირესობების მიმართ ასეთი მიდგომის გამო მოხდა კონფლიქტი. და როცა ახლა სამხრეთ ოსეთში ეროვნული უმცირესობების მიმართ პოლიტიკის საკითხების უშიშროების კარნახით განხილვას იწყებენ, რისკავენ, დაადგნენ იმავე გზას, რომელსაც საქართველო — გამსახურდიას დროს“.

ამასთან, ეს ისტორია, მისი აზრით, მით უფრო აუხსნელი და ალოგიკურია, რომ ახალგორის რაიონი მთელი ამ წლების განმავლობაში კონფლიქტს მიღმა რჩებოდა: აქ არ იყო არანაირი დაძაბულობა ეთნიკურ ჯგუფებს შორის:

„აქაური მოსახლეობა არ განიხილებოდა პლაცდარმად კონფლიქტში. ცხინვალის დე ფაქტო იურისდიქციის ქვეშ ეს ტერიტორია მართალია, დიდი ოპტიმიზმის გარეშე, თუმცა უკონფლიქტოდ გადადავიდა. თანაც უსაფრთხოების კუთხითაც ვითარება საკმაოდ მშვიდია როგორც რაიონში, ისე მთიანად რესპუბლიკაში. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, რაში დასჭირდა ხელისუფლებას ეს წნეხი რაიონის ქართულ მოსახლეობაზე“ — დასძენს სილაევი.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში გამოიყენება

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

— ბატონო გენო, ცოტა დამიგვიანდა თქვენს „საგალობლებზე“ გამოხმაურება.

— არა უშავს. სულ მალე ორტომეულს გამოვცემ და იმას გაჩუქებთ...

ეს იმ საუბრის ფრაგმენტია, ჩვენს შორის ტელეკომპანია „იბერიაში“ გენო კალანდიას „ბენეფისის“ ჩაწერის წინ რომ შედგა.

* * *

ისე წავიდა, დანაპირები ვერ შევუსრულე.

ვერც თვითონ მოასწრო ორტომეულის ჩუქება.

როგორ წარმოვიდგენდით, რომ ასე უცბად და მოულოდნელად გაგვეცლებოდა?!

ვერც თვითონ წარმოიდგენდა.

ორტომეული ვერ მაჩუქა, მაგრამ სახსოვრად დამრჩა ის პატარა, ძალიან საყვარელი წიგნი — „საგალობლები უფლისათვის“, რომლის ყველა გვერდი ასე იწყება: „უფალო...“

* * *

არ ვიცი, თვითონ რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ამ წიგნის მნიშვნელობა, გრძნობდა თუ არა, რა წყალობა გამოიმეტა და რა შეაქმნევინა უფალმა ცხოვრების მიმწუხრზე.

ჩემი აზრით, თვით ანა კალანდაძემაც არ იცოდა, თავისი პოეტური სახარება რომ შექმნა.

როცა პოეზიის დედოფალს წიგნი მივუძღვენი, ერთი თავი ასე დავასათაურე: „უსისხლო მსხვერპლი.“

ეს სათაური მიკარნახა (და მთელი ხსენებული თავი დამაწერინა) ერთმა არაჩვეულებრივმა კრებულმა, რომელიც მანანა გიგინეიშვილმა გამოსცა.

ამ კრებულში თავი მოუყარა უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოში შექმნილ ღვთის სადიდებლებს („დიდება შენდა!“, თბ., 2008).

ამ მართლაც ბრწყინვალე კრებულს მთარგმნელმა დაურთო არანაკლებ შესანიშნავი წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია: „ღვთის ქებას თავისი მნიშვნელობით, ლამის მოწამებრივ ღვაწლსაც კი უტოლებდნენ და მარტვილობა თუ არის „მსხვერპლი, სისხლის დათხევით გაღებული“, ღვთის ქება „უსისხლო მსხვერპლად“ მიიჩნეოდა. ღვთის დიდება იყო გამოხატულება ადამიანის უწყვეტი კავშირისა უზენაესთან; ეს იყო გამოვლინება უფლის მიმართ უსაზღვრო მადლიერებისა; ეს იყო სიყვარულით გადავსებული გულის მიძღვნა უფლისთვის და საკუთარი არსების მსხვერპლად მიტანა.“

უცოდველი ხომ ამქვეყნად არავინაა. არც პოეტთა შორის.

ასეთი კრებულებით, ამგვარი ჰიმნებით, ყველა ცოდვა გამოსყიდულია.

სწორედ ამის თქმა მინდოდა, იმ გამოხმაურებაში, ამას ვუნახავდი სიურპრიზად ბატონ გენოს.

დარწმუნებული ვარ, ძლიერ გავახარებდი.

მაგრამ, ვაი რომ თვითონ მოგვიწყო უკანასკნელი თუ სამარადისო სიურპრიზი. აქ შებრუნებით ახდა მისი ეს სტრიქონები:

მე იქ — საკენში ველოდი სიკვდილს,
მაგრამ გადავრჩი შენი წყალობით ...

ჩემი ღრმა რწმენით, გადარჩა იმიტომ, რომ ეს საგალობლები შეექმნა.

უფლის ჯილდო იყო არა სიცოცხლე, არამედ ეს საგალობლები.

იქ, საკენში, ფიზიკურად გადარჩა, აქ, თბილისში კი — შემოქმედებითად.

გადარჩა, რათა უფლისთვის წინასწარ ეს ეხარებინა:

უფალო, ჩემი ეკვდერის სარკმელს
ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის,
ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს
ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი.

პორტალზე დგება, ვით ესმერალდა,
ვით ბალერინა გედების ტბაში,
ის არის ჩემი სენაკის სევდა,
და ჩემი ბოლო კამარა ცაში.

სიხარულს ვპირდებოდი და ვერ შევუსრულე.

თუმცა, ეს ყოველივე რა სახსენებელია იმ სიხარულთან, ნეტარი ავგუსტინე რომ მიუთითებს და მანანა გიგინეიშვილი წინასიტყვაობაში რომ იმოწმებს:

„ღვთისადმი მიძღვნილი ჰიმნი გამოხატავს გამოუთქმელ სიხარულს ადამიანის სულისას“...

ამ გამოუთქმელი სიხარულით გამოითქმის მსგავსი ლექსები — „საგალობლები უფლისათვის“...

იოსებ ჟუმბურიძე

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინერციით, კვლავ „საჯაროს“ რომ ვუწოდებთ (და აქ დასაწუნი არაფერია), „გენო კალანდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო“ გაიმართა.

მოსაწვევში ზუსტად ასე ეწერა...

დარბაზი ულამაზესია.

ილიას პორტრეტით დამშვენებული.

მაგრამ მინდა ყველას მუდარით მივმართო;

ნუ გამართავთ ამ დარბაზში ლიტერატურულ საღამოებს!

ნურც წარდგენებს.

რადგან საშინელი აკუსტიკაა.

არაფერი ისმის.

გამომსვლელები თავისთვის ლაპარაკობენ.

ჩვენს საზოგადოებას, რომელსაც ისედაც დაქვეითებული აქვს მოსმენის კულტურა, კიდევ ეს უნდა?!

ხსენებულ საღამოზე თითქოს ცუდს ვერაფერს იტყოდი.

მართალია, პოეტის შემოქმედებაზე, თითქმის არავინ საუბრობდა, მაგრამ გამოსვლები საკმაოდ სოლიდური, აკადემიური იყო, თუ არ ჩავთვლით ერთ მაღალფარდოვან და ამბიციურ განცხადებას, რომლის შემდეგაც ლექსიკონში სიტყვა „მოკრძალების“ მოძებნის სურვილი გაგიჩნდებოდა.

საღამოს ამრავალფეროვნებდა და ამშვენებდა კიდეც ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემის („ბენეფისი“) ფრაგმენტები და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის სიმღერები. მსახიობებიც მონდომებით კითხულობდნენ პოეტის ლექსებს, მაგრამ ზემოხსენებულ აკუსტიკას მათი პათეტიკაც ვერ უმკლავდებოდა.

საღამო მაინც უდავოდ შედგა.

თუმცა მე მაინც სხვაგვარ საღამოს ვინატრებდი — უფრო მყუდრო და ინტიმურ გარემოში, სადაც გენო კალანდიას იმ ლექსებზე ვისაუბრებდით, თვითონ ასე რომ უწოდა: „საგალობლები უფლისათვის“.

ვისაუბრებდით უბრალოდ და სადად, ყოველგვარი პათეტიკის გაურევლად და მივხვდებოდით, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მან დაგვიტოვა.

* * *

ᲡᲡᲘᲞ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲥᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲦᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2. ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებების (კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური მასალები და ნაკეთობები, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის ქიმიური მეთოდები) შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;

3. კონკურსანტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას;

4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, CHEMDROW, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (sipt@sipt.org) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (განცხადების ფორმა) იხ. Sipt.org.ge

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ავტობიოგრაფია/CV;

4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;

9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოდვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;

11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: sipt@sipt.org xlomidze@sipt.org.ge 2018 წლის 04 ივნისის 10 საათიდან 07 ივნისის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 2018 წლის 08 ივნისს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913

ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

ბრალდებულმა საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით საბაჟო კონტროლისაგან მალულად, მისივე მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანაში მოწყობილი სამალავით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა დიდი ოდენობით — ჯამში 33 დასახელების მედიკამენტი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 6 470 ლარის ღირებულების კონტრაბანდული მედიკამენტები.

ᲮᲔᲚᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ — ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ

ᲫᲡᲜᲘᲡ ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში ხელყუმბარა აღმოაჩინეს, — ამის შესახებ ინფორმაციას ჟურნალისტი ნათია კუპრაშვილი სოციალურ ქსელით ავრცელებს.

„შოკში ვარ. რომ არა ჩვენი მეზობელი ზურა, რომელმაც დღეს სკოლაში წამსვლელ ბავშვებს შემთხვევით დაასწრო ადრე ადგომა და სადარბაზოში გასვლა — არ ვიცი, რა უბედურება გველოდა. სწორედ მან შეამჩნია მესამე სართულზე კართან ხალიჩაზე ყუმბარა. „კალიცო“ მოხსნილი იდო, რომ ვინმეს ფეხი გაეკრა და აფეთქებულიყო. ჩემი შვილები ლიფტით არ დადიან და ყოველდღე ჩაირბენენ იმ ადგილს. წარმოიდგინეთ, იმ ადგილზე ბავშვს რომ გაევლო იმ კაცამდე. ან იმ სახლის მაცხოვრებელს რომ დაესწრო გარეთ გამოსვლა. ძალიან ცუდად ვარ ამაზე ფიქრით! ბავშვებს რამდენიმე წუთით დაასწრო ზურამ გარეთ გამოსვლა და კიბეებზე ჩამსვლელები უკან სახლში მოაბრუნა. პოლიცია და კრიმინალური ოპერატიულად მოვიდა. აუცილებლად უნდა მიაგნონ იმ ცხოველს, ვინც ასე იმეტებს ხალხს და სამუდამოც ცოტაა მისთვის!“ — წერს ნათია კუპრაშვილი.



◎ ყოჩაღ!

რობერტ კობლიაშვილი ევროპის ჩემპიონია



დაღესტნურ კასპიისკში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი. ხალიჩაზე პირველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი გავიდნენ. წარმატებით იასპარეზა ევროპის შარშანწინდელმა ვიცეჩემპიონმა, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა რობერტ კობლიაშვილმა (87 კგ). სტარტზე მან ნატურალიზებულ ბულგარელ ტარეკ მოჰამედს 5:1 მოუგო, შემდეგ 23-წლამდელებში შვედი ევროპის ჩემპიონი კრისტოფერ ბერგი დაამარცხა 2:1, ნახევარფინალში ბელარუს მიკიტა კლიმოვიჩს აჯობა 8:0 და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რუსთა 25 წლის ტვერელ ფალავან ბეკხან ოზდოევს დაუპირისპირდა. ერთ მომენტში ოზდოევი პასიურობისთვის ქულით დასაჯეს და ჩოქბჯენშიც ჩააყენეს. კობლიაშვილმა აქაჩვა და ილეთის გაკეთება შეძლო — 3:0. გონგამდე რუსმა ჩვენებურს 2 ქულა აართვა, მაგრამ გასამარჯვებლად ეს არ ეყო. ქართველი „კლასიკოსი“ ევროპის ჩემპიონი გახდა.

საქართველოს ნაკრებიდან კიდევ ორნი ავიდნენ კვარცხლბეკზე — ნუგზარ წურწუმიამ (55) და იაკობ ქაჯაიამ (130) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. წურწუმია პირველივე შეხვედრაში აზერბაიჯანელ ელდანიზ აზიზლისთან წმინდად დამარცხდა — 0:9. ამ წონაში ძალიან ცოტა მონაწილე იყო, ამიტომ ქართველი მოჭიდავე პირდაპირ დამამშვიდებლის ფინალში გადავიდა, სადაც რუს ვასილ ტოპოევთან ორთაბრძოლა ფრედ დასრულა - 6:6, მაგრამ მომგებიანი ქულის წყალობით მესამეზე გავიდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ქაჯაიამ ესპანელი ხუან რაფაელ მენაიოლად დაამარცხა — 8:0, მეოთხედფინალში უკრაინელ ვლადისლავ ვორონსაც მშრალად აჯობა — 9:0. ნახევარფინალი რუს ვიტალი შჩურთან მინიმალური ანგარიშით წააგო — 4:5, დამამშვიდებლის ფინალში ბულგარელ მიროსლავ მეტოდიევთან მიაღწია წარმატებას (5:0) და მესამე ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

კარი 28 ქულით დაბრუნდა



გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფის ორი შეხვედრა გაიმართა.

კანადაში „ტორონტო“ „კლივლენდს“ დაუპირისპირდა. „ტორონტომ“ მატჩი კარგად დაიწყო და პირველი პერიოდი 14 ქულით მოიგო. მეორე პერიოდში „კლივლენდმა“ სხვაობა შეამცირა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხა. ასე იყო მესამე მეოთხედშიც, „ტორონტო“ რამდენიმე ქულით სულ წინ იყო და თითქოს „კავალიერზი“ უშანსოდ გამოიყურებოდა. თუმცა, მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე ლებრონ ჯეიმსმა 2-ქულიანი ჩააგდო და შეხვედრაში ანგარიში პირველად გაათანაბრა 105:105. კანადელებმა ბოლო წამებზე შეუტიეს და ბურთი სამჯერ გადაგზავნეს კალათისკენ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. დაინიშნა ოვერტაიმი, სადაც „კლივლენდს“ სროლა უფრო წაუვიდა და სტარტზევე ორი სამქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ კანადელებმა 112:113 წააგეს. ლებრონ ჯეიმსმა სამმაგი დუბლი შეასრულა — 26 ქულა, 13 პასი და 11 მოხსნა, რაც „მეფისთვის“ 26-ე საპლეიოფო სამმაგი დუბლია. ამ მაჩვენებელში ლებრონს მხოლოდ მეჯიქ ჯონსონი უსწრებს, რომელსაც 30 სამმაგი დუბლი აქვს შესრულებული. „ტორონტოში“ 22 ქულით დემარ დეროზანი გამოირჩა. სერიას „კლივლენდი“ 1:0-ს იგებს.

„გოლდენ სტეიტმა“ შინ „ნიუ ორლეანი“ 121:116 დაამარცხა. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ მესამე პერიოდის ბოლოს ოკლენდელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და აქედან მოყოლებული სიტუაციას აკონტროლებდნენ. პარკეტს დაუბრუნდა სტეფ კარი, რომელმაც მიმდინარე სეზონის პლეი ოფში პირველი შეხვედრა ჩაატარა და საკმაოდ ნაყოფიერიც (28 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა). კევინ დურანტს 29 ქულა ჰქონდა, ხოლო ენტონი დევისი 25 ქულით, 15 მოხსნითა და 5 პასით გამოირჩა.

სამწუხაროდ, სტივ კერიმ ზაზა ფაჩულია ისევ არ ათამაშა.

სერიას „გოლდენ სტეიტი“ 2:0-ს იგებს. მომდევნო შეხვედრა ნიუ ორლეანში ხვალ გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

იგი წავა და...

ვინც ჩვენს რუბრიკას თვალს ადევნებს, აუცილებლად ეცოდინებოდა და სულიც შეუგუბდებოდა, როცა გაიგებდა თუ ვინ არის დიდებული, საოცარი, მრავალსახოვანი და სულზე უტკბესი არგენტინელი მოდელი და ერთ დროს არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თილისმა — ანა კაროლინა ანდოჰანი, რომელსაც მადლიერმა მშობელმა ერმა მეტსახელად „პამპიტა“ უწოდა.

მისი ეპატაჟურობა, სიცანცარე და მრავალსახეობა ვის არ გააოცებდა და გადარევდა?! ვის არ აუჩქროლებდა სისხლს და ვის არ ააღმუვლებდა ფინალში დამარცხებული ჟოზე მოურინიოსავით?! მაგრამ, ამ მუხთალ წუთისოფელს ვინმე რასმეს გაუგებს განა? როგორც ჩანს, ჩვენი ბედიც დარდი და კაეშანი ყოფილა!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და განერვიულოთ, ცოტა ხნის წინათ „პამპიტას“ უთქვამს, ფოტოკამერის წინ პოზიორობას თავს ვანებებ და აწი მხოლოდ სერიალების მსახიობად თუღა მიხილავთო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

18-წლამდელები — შვიდკაცა ევროპის ჩემპიონატზე

დღეს საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრები ლიტვაში მიემგზავრება, სადაც ასაკობრივ ევროპის ჩემპიონატს ითამაშებს, რომელიც ამავდროულად ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირიცაა.

ევროპის ჩემპიონატში 16 გუნდი მონაწილეობს და ისინი 4 ჯგუფში არიან განაწილებულები. საქართველო „გ“ ჯგუფში დიდი ბრიტანეთის, ბელგიისა და ლიტვის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს.

სხვა ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ — **„ა“**: ირლანდია, იტალია, რუსეთი, შვედეთი; **„ბ“**: საფრანგეთი, რუმინეთი, გერმანია, უკრაინა; **„დ“** პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, ლუქსემბურგი.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 5 მაისს გაიმართება, რის შემდეგაც თითოეული ჯგუფის ორ-ორი მოწინავე თასის მეოთხედფინალში გავა, ხოლო დანარჩენები ტურნირზე მე-9 ადგილისთვის იბრძოლებენ. ტრადიციულად, შვიდკაცას ევროპის ჩემპიონატზე ყველა ადგილი გათამაშდება და პლეი-ოფები 6 მაისს მოეწყობა.

ახალგაზრდული ოლიმპიადის საგზურს მხოლოდ ევროპის ჩემპიონი იღებს.

დიდი დანაკლისით

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველად შარშან ითამაშა და თასის მეოთხედფინალში ინგლისის დამარცხებამდე სულ ცოტა დააკლდა. შედეგად, 2017 წელს გუნდმა მე-7 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მაშინ ჩვენი გუნდი 17 წლის მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული, და ამ ბიჭებს 18-წლამდელთა შვიდკაცაც წელსაც უნდა ეთამაშათ.

თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, გუნდის მთავარი მწვრთნელი ლევან ობოლაძე ლიტვაში ერთბაშად 8 მოთამაშეს მოისაკლისებს: 5 მათგანს 20-წლამდელთა ნაკრებში უხმეს, რომელიც „მსოფლიო რაგბის“ 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის ემზადება, ხოლო კიდევ სამი მოთამაშე ბოლო პერიოდში დაშავდა.

მიუხედავად ამისა, ობოლაძე ლიტვაში ოპტიმისტურად მიდის:

„დანაკლისის შესავსებად ვიმუშავეთ რაგბის ეროვნულ აკადემიასთან და გვქონდა ტურნირი გორში, რომელიც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა და კარგი ბიჭებიც გამოჩნდნენ. „ნატოს თასისთვის“ ამ ასაკის 6-მა გუნდმა ითამაშა და, შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით სელექცია 70 მოთამაშიდან მოხდა. მანამდე გვქონდა ერთი შეკრება, ხოლო გასულ შაბათ-კვირას მარტყოფში ორი დღე გავატარეთ, სადაც ქართულ კლუბებთან გვქონდა რამდენიმე თამაში და შეირჩა 12 საუკეთესო. არსებული რესურსიდან გამომდინარე, ვეცდებით, ლიტვაში შესაძლებლობის მაქსიმუმი ვაჩვენოთ“.

ლიტვაში მიემგზავრებიან:

საბა კურატიშვილი (არმაზი), **იოანე იაშაღაშვილი** (იუნკრები), **ლუკა ხეხელაშვილი** (ლელო-სარასენი), **დავით გობეჯიშვილი** (აია), **დაჩი პაპუნაშვილი** (არმია), **ირაკლი სიმსივე** (აია), **ოთარ ლაშხი** (იუნკრები), **გიორგი მიქანაძე** (არმაზი), **ზაურ ლუტიძე** (ხვამლი), **თეიმურაზ კოხოძე** (აია), **ლევან ბრაგვაძე** (არმაზი), **იაგო ხაბულიანი** (აია).

მთავარი მწვრთნელი: ლევან ობოლაძე.
მწვრთნელი: ზაზა ლეჟავა.
ფიზ. მწვრთნელი: გივი ნადარეიშვილი,
ექიმი: გიორგი სვანიძე,
მენეჯერი: პაატა მაისურაძე.

კალენდარი
5 მაისი

საქართველო — ბელგია (14:12 საათი),
საქართველო — ლიტვა (17:52),
დიდი ბრიტანეთი — საქართველო (20:48).

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

„რეალ“-ობა კი ასეთია

მიუნხენის „ბაიერნის“ ლეგენდარული სპორტული მენეჯერი კარლ-ჰაინც რუმენიგე აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა შეიტყო, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დანიშნულ მისი გუნდის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩს მადრიდის „რეალთან“ თურქი მსაჯი ჩექინი გაუძღვებოდა.

საფეხბურთო სამყაროში „სამეფო კლუბის“ არბიტრად ცნობილ შაოსანზე ტყუილად როდი არსებობდა ეჭვები — ესპანურმა გრანდმა მისი თანამონაწილეობით გამართული თერთმეტი შეხვედრიდან შვიდი მოიგო (მათ შორის, ერთი წლეულს სტუმრად ტურინის „იუვენტუსთან “), ორი ფრედ დასრულა და ორი წააგო. სამწუხაროდ, უსკანდალოდ არც ამჯერად განვითარებულა მოვლენები და ისევ მასპინძელთა სასარგებლოდ, არადა თვით თამაშს არაფერი დაეწუნებოდა და გულშემატკივრებს მის მონაწილეობაზე მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

საუბარია საპენალტო ეპიზოდებზე, როცა ჯერ რამოსის მიერ საკუთარ საჯარიმოში ლევანდოვსკის მოცელვა დარჩა რეაგირების გარეშე, ხოლო შემდეგ მარსელომ ჩაჭრა ხელით ბურთი კიმიხის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ (სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე თვით ბრაზილიელმა მცველმა აღიარა, თერთმეტმეტრიანით დასჯის ღირსნი ვიყავითო).

ასეა თუ ისე, ევროპული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი ზედიზედ მესამედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და მეცამეტე ტრიუმფს მიუახლოვდა. შთამბეჭდავია ზიდანისა და რონალდუს ინდივიდუალური მიღწევებიც, რომლებიც მეექვსედ შეეთამაშებიან ტიტულს (ფრანგი მესამედ — მწვრთნელის რანგში).

„რეალი“ — „ბაიერნი“ 2:2

გოლები: ბენზემა (2); კიმიხი, ხამეს როდრიგესი.

გიორგი ზოთაძე

სანთელი

ირაკლი თოდუა

იგი სრულიად ახალგაზრდა, უფრო სწორად ყმაწვილი კაცი იყო, როდესაც საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, სამეგრელოდან ჩამოვიდა თბილისში და ძალზედ პოპულარული გაზეთის „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის უშუალო დახმარებითა და თანადგომით მხრებზე შეიგდო ჟურნალისტის უმძიმესი უღელი.

სწორედ „ასავალ-დასავალში“ დავაჟკაცდა და ნიჭიერი ყმაწვილი მალე ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალისტად იქცა. კარგი მოქართულე, კეთილშობილი პიროვნება, მართლაც პრინციპული და თავისი სტილის მქონე, ყველასგან გამორჩეული კაი ყმა რამდენიმე წელიწადში იქცა ნამდვილ ვარსკვლავად.

შემდგომში ირაკლი თოდუა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორია. მან გვერდით პროფესიონალები შემოიკრიბა და სულ მალე „ირაკლის გაზეთი“ ერთ-ერთი მოწინავე გახდა ქართულ პერიოდიკაში.

დიდი ტკივილია ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის 42 წლის ირაკლი თოდუაზე წარსულში საუბარი, იგი მოულოდნელად სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა საქართველოს, ჟურნალისტთა საძმოს, უსაყვარლეს ოჯახს, ახლობლებს.

ჩვენი გაზეთის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ირაკლის ოჯახს, მის საახლობლოს და ქართველ მკითხველს, ვისაც დიდხანს ემახსოვრება საოცრად ენერგიული, პრინციპული და სიტყვაღონიერი ვაჟკაცის ამ ქვეყნიდან ნაადრევი წასვლა.

არასოდეს დაგივიწყებთ, ღირსეულო ქართველო და საამაყო კოლეგავ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

ხსოვნა

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ზურაბ ანთელიძეს მამის

რობერტ ანთელიძის

გარდაცვალების გამო.

თავისუფლების მოედანზე მომხდარი დაჭრისთვის 2 პირი დააკავეს

თავისუფლების **მოედანზე მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნილია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 2000 წელს დაბადებული 2 პირი დააკავა.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ორ პირს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. ერთ-ერთ მათგანს გულ-მკერდის არეში მიყენებული ჭრილობის გამოს ოპერაცია დასჭირდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება მეორე დაშავებულს ის უკვე გაწერეს.

◎ უხილავი საფრთხე

ომი, რომლის მოგებას პირი არ უჩანს!

ჩვენ ყველანი სოკოს სპორების „ბულიონში“ ვცხოვრობთ

რამდენიმე ათეული წლის წინათ კაცობრიობა სოკოებთან ომში ჩაება, რომელსაც ამჟამად სამწუხაროდ, ყველა ფრონტზე პირწმინდად აგებს.

ყველაფერი კი იან ფლემინგით დაიწყო, რომელმაც ობის სოკოს პენიცილიუმის საფუძველზე ანტიბიოტიკი შექმნა, რომელსაც პენიცილინი დაარქვა. ამ წამალმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, ასეა ამჟამადაც: სწორედ ანტიბიოტიკები გვიცავენ აუარება საშინელი დაავადებისგან. მაგრამ, პენიცილინის შემდეგ დაიწყო ახალ-ახალი ანტიბიოტიკების წარმოება, რომლებსაც უკვე არა მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებებში, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიყენებთ. არადა, ჩვენს ორგანიზმში მილიონობით ბაქტერია ბინადრობს, თითქოს მათ შეგუებულნი ვიყავით, ანტიბიოტიკები კი ამ ბაქტერიებს ხოცავენ. ჩვენთვის მავნე ბაქტერიებთან ჩვენი თანაარსებობის პრინციპი ევოლუციის უგრძელეს გზაზე დაიხვეწა: ისინი მრავალ კონკურენტს ორგანიზმში დაბუდების უფლებას არ აძლევენ, მათ შორის კი ჩვენთვის ყველაზე სახიფათონი **პათოგენური საფუარები** და **ობის სოკოებია**. როგორც კი ჩვენ ნებისმიერი სახეობის დისბაქტერიოზი გვეწყება, იქნება ის ბუნებრივი თუ ანტიბიოტიკური პრეპარატების მიღების შედეგად წარმოშობილი — ორგანიზმში მაშინვე სოკოები ჩნდებიან.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მედიკოსებმა გაკვირვებით აღმოაჩინეს, რომ იმ დაავადებათა სიხშირე, რომლებიც უწინ ეგზოტიკურებად ითვლებოდნენ, შეუდარებლად გახშირდა. მათ შორის, ვთქვათ, **ასპერგილეზი** და **კანდიდოზი**, რომელთა დროს შინაგანი ორგანოები ობის სოკოებით „იცხრილება“ და საცერივით ხდება. მაგალითად, შიდსით დაავადებულებში კანდიდოზის გამო სიკვდილიანობა 30 პროცენტს აღწევს.

ამ სოკოებით დაავადება ყველგან, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქში შეიძლება, რომელიც ფაქტობრივად, სოკოს ბულიონს წარმოადგენს — ჩვენს ირგვლივ ჰაერში მილიარდობით სპორა დაფრინავს, რომლებსაც ჩვენ ვსუნთქავთ.

დედამიწაზე სოკოების აუარება სახეობაა, რომელთაგან ადამიანისთვის რეალურ საფრთხეს 800 წარმოადგენს და მათი რიცხვი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გამუდმებით იზრდება. მართალია, ორგანიზმი მათ კი ებრძვის, მაგრამ ამაში ხელისშემშლელი გარემოება ისაა, რომ თითოეულ ჩვენგანს — ამა თუ იმ ხარისხით — გარკვეული იმუნოდეფიციტი აქვს, მათ შორის ანტიბიოტიკების გამოც. მათი მოსპობა მხოლოდ ყველაზე თანამედროვე ჰაერის გამწმენდებს შეუძლიათ, დანარჩენები კი, პირიქით, სოკოების სპორების კონცენტრატორები არიან.

სოკოებს ჩვენს ორგანიზმში შეჭრის სრულყოფილი აპარატი აქვთ: ისინი ძაფების სახით არსებობენ, თან გადახლართვისა და გარკვეულ ადგილებში გამაგრების წყალობით მათ ნებისმიერი სტრუქტურების ფორმირების შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, მათ ფერმენტების ისეთი ნაკრები აქვთ, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველაფრის გამომუშავების საშუალებას უქმნიან. ზოგიერთი სოკო ლაქენების მჟავას გამოყოფს, რომლებიც ქვებსა და ცემენტსაც შლიან — ამის გამო ევროპაში არაერთი ძველი ციხე-დარბაზი ჩამოიქცა. სოკოები ხეების მერქნის მტკიცე ნივთიერების — ლიგნინის — ფაქტობრივად, ერთადერთი გადამმუშავებლები არიან. რომ არა ისინი, მაშინ მიწაზე დაცემული ბებერი ხეები, ტოტები და ფოთლები მთელ ტყეებს სულ რაღაც ორ ათეულ წელიწადში დაფარავდნენ(!)

სოკოებს არაერთი კატასტროფა გამოუწვევიათ. ვთქვათ, მე-19 საუკუნეში კარტოფილი ევროპელ გლეხთა ძირითად საკვებად იქცა, მათ შორის მეტად ღარიბ ირლანდიაშიც. 1845-46 წლებში კარტოფილს იქ სოკო-ფიტოფტორა გაუჩნდა, რომელმაც მოსავლის 90-95 პროცენტი გაანადგურა, რასაც მილიონი კაცის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო კიდევ ნახევარი მილიონი იძულებული გახდა, ამერიკაში გადასახლებულიყო.

ოდესღაც ცეილონი არა ჩაით, არამედ ყავით იყო განთქმული, მაგრამ ერთხელაც მის პლანტაციებს „ყავის ჟანგის“ სახელით ცნობილი სოკო გაუჩნდა და ყველა პლანტაცია ერთიანად მოსპო. ამიტომაც ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანია იძულებული შეიქმნა, კუნძულზე ჩაი გაეშენებინა.

ბოლო დროს აქა-იქ „მთვრალი პურის“ შესახებ ცნობები ჩნდება: ფუზარიოზით დაავადებული ხორბლისგან გამომცხვარი პურის ჭამის შემდეგ ადამიანი მთვრალი კაცივით იქცევა — ბარბაცებს, მღერის, უაზროდ იცინის, რაც ძლიერი ალკოჰოლური თრობის ნიშნებია.

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ მიკოტოქსინების, ანუ ობის შხამების დაშლა შეუძლებელია — ისინი ნებისმიერ თერმულ დამუშავებას უძლებენ. კიდევ უფრო დიდი საშიშროება კი ისაა, რომ მათ ორგანიზმში დაგროვების უნარი აქვთ, სიადანაც გამოდენის მეთოდი არ არსებობს — ეს გარემოება, მართალია, აბსოლუტურად სასიკვდილო არ არის, მაგრამ მუდამ ხიფათის შემცველია. მათი საშინელი შედეგი ისაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ადამიანს ღვიძლის კიბო უჩნდება, უახლოეს პერსპექტივაში კი — მოჭარბებული გამღიზიანებლობა, ადვილად დაღლა, უძილობა, თვალების წვა ეწყება.

ყოველივე ზემოთქმული, ცხადია, დიდად შემაშფოთებელია და, ბუნებრივია, კითხვას ბადებს: როგორ შეიძლება იმის გაგება, ხომ არაა ესა თუ ის საკვები სოკოს შხამით მოწამლული?

მაგალითისთვის ავიღოთ პარკის არაქისი: **თუკი ერთი მწარე კაკალი მაინც შეგხვდათ, ეს პრაქტიკულად, ასპროცენტიანად იმას ნიშნავს, რომ ყველა დანარჩენიც მიკოტოქსინებს შეიცავს. ამიტომ, ის კაკალი გადმოაფურთხეთ, მაშინვე პირი გამოირეცხეთ და მთელი პარკი სანაგვეში მოისროლეთ. ასე მოიქეცით ყველა სახეობის კაკლის, მათ შორის ნიგოზის შემთხვევაშიც. გახსოვდეთ: ნებისმიერი ზეთოვანი კულტურა, ანუ ყველაფერი, რაც ზეთს შეიცავს — მათ შორის მზესუმზირა, გოგრა, ყველა სხვა თესლით და ყველა სახეობის კაკალი, ზეთისხილი, სიმინდი და ა.შ. — შხამის გამომყოფი ობის უსაყვარლესი სუბსტანციაა!**

ნურც ის გამოგრჩებათ მხედველობიდან, რომ თუკი მურაბიან ქილას ზემოდან ობი გაუჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მთლიანად მოწამლულია, რადგან ობი — ესაა სოკოს მხოლოდ ხილული ნაწილი, მთელი ქილა კი მისი ძაფებითაა სავსე. იგივე წესი მართებულია ყველის შემთხვევაშიც და ამდენად, ისიც ყოველგვარი მორიდების გარეშე უნდა გადააგდოთ. ასევეა, ვთქვათ, მაშინაც, როცა კონტეინერით მოტანილ ხენდროში კენკრის ნაწილს რუხი ობი აქვს — მისი ჭამა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს არ უნდა მისცეთ იგი ბავშვს — ეს მათ გახშირებულ ავადმყოფობას იწვევს, წლების შემდეგ კი შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებიც კი წარმოიშვას...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ვულოცავთ!

სამშობლოს კეთილსინდისიერი მსახური

ვახტანგ გორგასლის ორდენის ღირსეულ კავალერს, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულ მუშაკს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორსა და გენერალს

გივი ლობჟანიძეს

ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 70 წლისთავს. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა — პოლიციის საკავანძო სამსახურის ხელმძღვანელად, პრეზიდენტის მრჩევლად თუ პარლამენტარად, უმაღლესი სასწავლებლის კათედრის გამგედ, დეკანად, პროორექტორად თუ სპეციალიზებული აკადემიის წევრად — ნათელი მაგალითია მაღალი პროფესიონალიზმისა და სამშობლოს კეთილსინდისიერი მსახურებისა. კვალიფიციური სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები კი — ისტორიის, ფილოსოფიისა და სამართლის სფეროში — სტუდენტი ახალგაზრდობის სამაგიდო შრომებადაა მიჩნეული. იგი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო, პედაგოგიურ და აღმზრდელობით საქმიანობას.

ვუსურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახის წევრებთან ერთად.

რომან შენგელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კერძო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი

* * *

ჩვენი ასი წლის გაზეთის სახელით ძმური სიყვარულით მივესალმებით 70 წლის იუბილარ გივი ლობჟანიძეს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი ღირსებით, პატიოსნებითა და კაცურკაცობით, იგი ჩვენი გაზეთის უძველესი მეგობარი და ავტორია. იმედი გვაქვს, დროთა განმავლობაში მედიცინის განვითარების წყალობით, 100 წლის გივი ლობჟანიძეს, თვალსაჩინო მეცნიერსა და მამულიშვილს, კვლავაც საქვეყნო საქმეში ჩართულს, ასევე სიყვარულით მიესალმება უკვე 130 წლის „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

გულწრფელი პატივისცემით
გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია

სომხეთ-საქართველოს გზა დაკეტილია

სომხეთისა და საქართველოს საზღვარზე საცობია, სომხეთიდან საქართველოსკენ მომავალი გზა დემონსტრანტებმა გადაკეტეს. ოპოზიციური მოძრაობა „ჩემი ნაბიჯის“ლიდერმა ნიკოლ პაშინიანმა სომხეთში საერთაშორისო და რეგიონალური მიმოსვლის გზების ბლოკირება გამოაცხადა. პრობლემებია ირან-სომხეთის საზღვარზეც.

რუსეთმა სამხედრო ხარჯები შეამცირა

2017 წელს რუსეთის სამხედრო ხარჯები ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა. მსოფლიოს პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით SIPRI 2016 წელთან შედარებით ხარჯი 20% -ით შემცირდა. გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით რუსეთისთვის სამხედრო სფეროს მოდერნიზაცია ისევ პრიორიტეტულია, თუმცა სამხედრო ბიუჯეტი შეიკვეცა რუსეთში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო.

ნატოს გემები შავ ზღვაში შევიდნენ

შავ ზღვაში ნატოს მეორე მუდმივი სამხედრო საზღვაო ჯგუფის გემები შევიდნენ. მის შემადგენლობაში ესპანეთის, თურქეთისა და გერმანიის სამხედრო გემები შედიან. მათი ფლაგმანი ბრიტანეთის საზღვაო ესმინეცი HMS Duncan-ია.

რას არ გაიგებ!..

• ჯაზური მუსიკა მიხაკის ზრდას აჩქარებს.

• ჩვენი ორგანიზმი სიმინდის ზეთის მხოლოდ 36 პროცენტის ათვისებას ახერხებს.

• მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი დაეცა, ყველაზე დიდი შემოსავალი რუსეთის ხაზინისთვის არყის გაყიდვას მოაქვს.

• სომხური წარმომავლობის რუსმა მხატვარმა ივან აივაზოვსკიმ (გევორქ აივაზიანმა): ათასზე მეტი ტილო დახატა.

• საუნაში ბანაობისას საჭიროა ბევრი სითხის მიღება, ოღონდ უალკოჰოლო წვენების, ვთქვათ, ჩაის და არა ალკოჰოლის, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა სახეობის წიდებისგან გათავისუფლების მაგივრად ორგანიზმი ამ მავნე ნივთიერებებით კიდევ უფრო მეტად გაიბინდება.

• ჩაის, პომიდორს, ნიორს, სტაფილოს, რეჰანს, კომბოსტოს, ბროწეულს, კამას, შავ ყურძენსა და ღვინოს, წიწაკა ჩილის, კურკუმას, მიხაკ-დარიჩინსა და სოიოს კიბოს საწინააღმდეგო თვისებები აქვთ.

• მწარე შოკოლადი და კაკაო სისხლს ათხელებს და ხელს უშლის თრომბების წარმოშობას ასპირინზე უკეთ.

• ფიჯის კუნძულებზე ოფიციანტისთვის, კარისკაცისთვის, ტაქსის მძღოლისთვის, ზოგადად მომსახურების სფეროს მუშაკისთვის ფულის ჩუქებას... უპატივცემლობად აღიქვამენ.

• საშინელებათა ჟანრის ფილმების სახელგანთქმული რეჟისორის ალფრედ ჰიჩკოკის აზრით, ყველაზე საუკეთესო მსახიობები უოლტ დისნეის ფილმებში თამაშობენ.

გასაცინებელი ა(მ)ბები

რა უნდა ვქნა?

— შვილო, თუ თავაზიანი იქნები, სამოთხეში წახვალ, თუ უზრდელი იქნები, წახვალ ჯოჯოხეთში...

— დედიკო, მითხარი, კინოში რომ წავიდე, რა უნდა ვქნა?!

მიზეზი

— რატომ აქამდე არ შეიღებე თმა?

— აქამდეც შევიღებავდი, მაგრამ ქმარი არ მიშლის.

კანტორაში

— გასაკვირია, მეორე დღეა, სამსახურში არ დადიხარ და ამას იმით ხსნი, ცოლი ავად გამიხდაო?!

— სხვათა შორის, მეც გამიჩნდა ეჭვი, თავს ძალით ხომ არ იმკვდარუნებს?!

ქორწინების შემდეგ

— გაიგე, ალინკა თავის უფროსს გაჰყვა ცოლად.

— როგორ ცხოვრობენ?

— საერთოდ არაფერი შესცვლიათ, ოღონდ ადრე ქმარი კარნახობდა, ახლა კი ცოლი უკარნახებს!..

თეატრში

— გთხოვთ, გაჩუმდეთ, არაფერი არ მესმის.

— არც არის საჭირო რომ გაიგოთ, ჩემს ცოლს რას ველაპარაკები!..

ცოლი

— ცოლიანი კაცი ხარ და ღილებს შენ თვითონ აკერებ, სად გაგონილა?!

— არა ხარ მართალი! ეს ჩემი ცოლის პალტოა.

შვებულებაში

— დიდი ხნით მიდიხართ შვებულებაში?

— სანამ ფული მეყოფა.

— მაშ, ადრე შევხვედრივართ.

შთამომავალი

— ნუტირი იან! რა გატირებს, როცა მე და მამაშენი ვჩხუბობთ?!

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... თუ შენ მამიკოს ჰიპოპოტამს ეძახი, ის კი შენ — ტუტუც ბატს, მაშინ მე რა გამოვდივარ?!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4552; ევრო - 2.9529;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3612;
100 რუბლი - 3.8694; თურქული ლირა - 0.5993;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4472;
1000 სომხური დრამი - 5.0938.

ამინდი 3 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge